# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა-ორშაბათი, 28-29 მარტი, 1999 წელი.

№ 81-82 (3123)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი შეთანხმებით


ხელისუფლება

## აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის აღორძინება ქვეყნის ხსნის საწინდარია

„საქართველოს აგრარული პოლიტიკა და მისდამი საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა (ანალიზი, პერსპექტივა)", – ასე ჩამოყალიბდა აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს სხდომის თემა, რომელიც 27 მარტს გაიმართა სასტუმრო „შერატონ-მეტეხი-პალასში".

ეროვნული საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე.

**სხდომის დაწყებისას შეკრებილთ რომ მიმართა, ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, განაცხადა:**

**დღევანდელი შეხვედრის თემა ნამდვილად იმსახურებს ასეთ წარმომადგენლობით აუდიტორიას, რადგან საუბარი აგრარულ სექტორის საერთაშორისო მხარდაჭერაზე ნიშნავს საუბარს ქვეყნის გადარჩენასა და კრიზისიდან მის საბოლოო გამოყვანაზე. აგრარული რეფორმის მხარდაჭერაში დღევანდელი ხელისუფლებისა და დემოკრატიულ მონაპოვართა მხარდაჭერა იგულისხმება. ყველა ის სტრატეგიული მნიშვნელობის პერსპექტივა, დღეს საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ოპტიმალურ გამოყენებასთან, ევროპულ და საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობასთან და მის საბაზრო ორიენტაციასთან რომ არის დაკავშირებული, შესაძლოა მიუღწეველი დარჩეს, თუ ქვეყნის მოსახლეობა დღესვე ვერ იგრძნობს იმ ხელშესახებ შედეგს, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურმა ორიენტაციამ მოიტანა ყველა ოჯახისა და მოქალაქისათვის.**

**ალბათ, შეუძლებელია არ ითქვას იმის შესახებაც, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა განსაკუთრებულ ვითარებაში მიმდინარეობს. მხედველობაში მაქვს გამძაფრებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი, განსაკუთრებით, ეკონომიკური**

იხ. მე-2 გვ.





თანაგრძნობა

## ვილოცოთ [illegible] მშვიდობისათვის

უკვე მეოთხე დღეა ნატოს შეიარაღებული ძალები ბომბავენ იუგოსლავიის სამხედრო ობიექტებს, რასაც, სამწუხაროდ, მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა მშვიდობიანი მოლაპარაკებებით იუგოსლავიაში კოსოვოს საკითხის გადაწყვეტა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობისა და მოქალაქეთა მსხვერპლის გამო თანაგრძნობას ვუცხადებთ მის უწმინდესობას სერბეთის პატრიარქ პავლეს და იუგოსლავიის ხალხს.

მივმართავ საქართველოს საპატრიარქოს ყველა სასულიერო პირსა და ყველა ეკლესიის მრევლს აღავლინონ ლოცვა, რათა განახლდეს მოლაპარაკება და მშვიდობიანი გზით დროულად გადაიჭრას იუგოსლავიის პრობლემები.

**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.**

კადრები

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 27 მარტი

**ზ. შენგელიას საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს **ზაზა შენგელია** საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარედ.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 27 მარტი

**ზ. შენგელიას საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს **ზაზა შენგელია** საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

**ა. გოგელიას საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

1. გათავისუფლდეს **არჩილ გოგელია** საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

2. ქართული პრესისა და რადიო-ტელევიზიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაში დამსახურებისათვის არჩილ გოგელიას გამოეცხადოს მადლობა.

**ე. შევარდნაძე.**

კადრი



ენერგია.

დღევანდელი ნომრის გვერდებზე ფოტოხელოვან ზურაბ დათუაშვილის ფოტოსურათების ერთგვარ გამოფენას წარმოგიდგენთ.

ვერსია

## მართლა ქართველი იყო პოლკოვნიკი აბელი?

პლუტარქე თემისტოკლეს ბიოგრაფიაში წერს: მამა საზოგადოებრივი საქმიანობისაგან შვილის ჩამოშორებას ცდილობდა და ზღვის სანაპიროზე უყურადღებოდ მიყრილ ძველ ტრიერებზე უთითებდა: სწორედ ასე ექცევა ხალხი სახელმწიფო მოღვაწეებს, როცა ისინი უსარგებლონი ხდებიანო.

არაფერი შეცვლილა თემისტოკლედან გასულ 26 საუკუნეში.

უშიშროების სამსახურის გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე ჯან-ღონით სავსე, მეექვსე ათეულს ეს-ესაა გადაცილებული კაცია. თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 30 წელიწადი მსახურობდა ყოფილ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, ოპერმუშაკიდან დაიწყო და მინისტრობამდე ავიდა. დაამთავრა სსრკ კონტრდაზვერვის უმაღლესი სკოლა, შემდეგ სსრკ დაზვერვის უმაღლესი სკოლა. რვა წელზე მეტი იმსახურა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჰქონდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩევლის დიპლომატიური რანგი.

დღეს გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე რიგითი მოხელეა, – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მთავარი კონსულტანტი.

ბუნებრივია, მისი ბიოგრაფიის კაცს ბევრი რამ საინტერესო შეიძლება ჰქონდეს სათქმელი და გასახსენებელი...

იხ. მე-10 გვ.

ინტერვიუ ფაქსით

## კოსოვოს კრიზისი და საბერძნეთის პოზიცია

**იუგოსლავიაზე ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საჰაერო შეტევასთან დაკავშირებით ოფიციალური საბერძნეთის, როგორც ნატოს წევრი ქვეყნის რეაქცია, განსხვავდება ალიანსის წამყვანი ქვეყნების ერთიანი პოზიციისაგან.**

რედაქციამ სთხოვა საქართველოს ელჩს საბერძნეთის რესპუბლიკაში **ალექსანდრე ჩიკვაიძეს** გაერკვია ჩვენი მკითხველები ამ საკითხში.

ალექსანდრე ჩიკვაიძე გვიპასუხებს:

იხ. მე-4 გვ.



გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

საქართველოს რესპუბლიკა
№81-82. კვირა-ორშაბათი. 28-29 მარტი. 1999 წელი.

ხელისუფლება

# აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის აღორძინება ქვეყნის ხსნის საწინდარია

(პირველი გვერდიდან)

კრიზისი რუსეთში, რომელმაც, როგორც იტყვიან, ქარიშხალივით გადაუარა საქართველოს. და, მაინც, თუ ქვეყანაში უკვე გაჩნდა საკრედიტო და ფინანსური კრიზისიდან გამოსვლისა და ეკონომიკური გამოცოცხლების პირველი სიმპტომები, ეს იმის წყალობით, რომ საქართველოს ხელისუფლება, ჩვენი ხალხისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, ჩვენი მეგობარი ქვეყნების დახმარებით დაადგა რადიკალური ეკონომიკური რეფორმების, გარდაქმნების გზას, მათ შორის, სოფლის მეურნეობის, მთლიანი რეფორმების, მიწის რეფორმის განხორციელების და ჩვენი მოსახლეობის, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მესაკუთრე ფენად ჩამოყალიბების გზას.

არ შემიძლია უდიდესი მადლიერებით არ აღვნიშნო იმ დახმარების მნიშვნელობა, რომელიც ცალკეულმა ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გაგვიწიეს ძნელბედობის ჟამს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დახმარების გარეშე საქართველოს გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. ეს ერთი-ორად ზრდის ქართველი ხალხის პასუხისმგებლობას და დღეს, როცა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ოცნება განხორციელდა და ის უკვე ევროპის წევრი ქვეყანაა, უკან დასახევი გზა ნამდვილად აღარ არსებობს. უნდა ვიაროთ წინ, რეფორმების გაღრმავების, განვითარებისა და ქვეყანაში დოვლათის შექმნის გზით.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ის მაჩვენებლები, რომლებიც ჩვენს ბიუჯეტშია, მდგომარეობის გამოსწორების იდეალურ შემთხვევაშიც კი ვერ უზრუნველყოფს იმ დაფინანსების მინიმუმს, დღეს აგროსამრეწველო სექტორის აღორძინებას რომ სჭირდება.

ამიტომაც, დღევანდელი დღის უმთავრესი ამოცანაა, პირველ ყოვლისა, მინიმუმამდე დავიყვანოთ აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციათა რეკომენდაციებსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციურ მიდგომებს შორის არსებობს. ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს, მაგრამ სასურველია მისი დაჩქარება. რა თქმა უნდა, მე ვგულისხმობ საბაჟო, საგადასახადო პოლიტიკას, მიწის ბაზრის ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ერთ-ერთიურთულესი პრობლემაა ჩვენი ქვეყნისათვის, თითოეული ოჯახისათვის, აგრეთვე, შიდა ბაზრის დაცვის პრობლემებს და მრავალ სხვას. რადგან დღევანდელი საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა მხოლოდ საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებით შეიძლება, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი აქ გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

ბევრი რამ არის საქვეყნოდ ცნობილი იმ შესანიშნავი ინიციატივების შესახებ, რომლებიც მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, გაეროს, ფაოსა და იფადის, აშშ-ის (და უნდა ვთქვა, რომ აშშ-ის მხარდაჭერა და დახმარება 1993 წლიდან მართლაც უპრეცედენტოა ქვეყნის ისტორიაში), განვითარების სააგენტოს, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, იტალიის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდის სამეფოს, ჩინეთის, სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხორციელდება. მათი მასშტაბის ზრდასთან ერთად, სასურველია დაიხვეწოს ფართო საზოგადოების ინფორმირების სისტემაც. უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი და გაუგებრობა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი მეგობრების მიერ გაწეული დახმარების თუნდაც მცირედი ნაწილი არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული. ამიტომაც საჭიროობას, მათ შორის, ჩვენს დღევანდელ შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ.

აუცილებელია ჩვენმა მეგობრებმა, დონორების დახმარებით მოიძებნოს სახსრები ისეთი პრობლემის გადასაწყვეტად, როგორიცაა ფალსიფიკაციასთან ბრძოლა, საექსპორტო პროდუქციისათვის მარკეტინგული კვლევა და, რაც მთავარია, ხელისუფლებისა და ჩვენი მეგობრების, ყველა თანამდგომი ორგანიზაციისა და სახელმწიფოს ზრუნვა იმისათვის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები, ფერმერები, მეწარმეები გავიდნენ ბაზარზე. ფაქტობრივად, ამაზეა დამოკიდებული საქართველოს სოფლის მეურნეობის, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკის განვითარების ბედი.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოიძებნა გლეხთა, ფერმერთა კოოპერირების გზა. გლეხთა საკრედიტო კავშირებისა თუ მიკროფინანსირების პროექტებს სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება. მისასალმებელია ევროკავშირის ინიციატივა აგრობიზნესბანკის ფორმირებასთან დაკავშირებით. შესაძლოა მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება ფიქრი მსხვილი ფერმერული მეურნეობებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინებაზე, დღევანდელი ჩვენი გლეხკაცის თანამედროვე აზროვნების ფორმირებაზე.

ძალზე მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის ინიციატივა ქართული აგრარული მეცნიერების, კვლევისა და დანერგვის სისტემების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ დღეს ფართომასშტაბიანი სასწავლო პროგრამების განხორციელებისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე ქართული ფერმერული მეურნეობა და, განსაკუთრებით, საექსპორტო წარმოება ვერ განვითარდება და აღორძინდება.

კარგია, რომ იგრძნობა ჩვენი მეგობარი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის გარკვეული კოორდინაცია და პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საინვესტიციო საბჭოს, ცალკეული სამინისტროების, უწყებების, რეგიონების ხელმძღვანელთა საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა. თუმცა, აქ რეზერვები ამოუწურავია და საქმეც ბევრია გასაკეთებელი.

აგრარული სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის აღორძინებით ქვეყნის გადარჩენის გზა ამ თანამშრომლობაზე გადის და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ იგი ნაყოფიერი იქნება ორივე მხარისათვის. მხოლოდ ასე შეიძლება გახდეს რეალური ქვეყნის პრეზიდენტის აგრარული პოლიტიკა, რომელიც, უპირველესად, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას გულისხმობს.

ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ დაწვრილებით გააანალიზა მდგომარეობა აგრარულ სფეროში და მისი განვითარების პერსპექტივა. მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში მიმდინარე სოფლის მეურნეობის რეფორმა გულისხმობს გარდაქმნებს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, მენტალიტეტის შეცვლას. იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად განხორციელდება იგი, დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი. დღეს სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა უზრუნველყოფს ქვეყნის სავალუტო შემოსავლის 70 პროცენტზე მეტს. მთლიანი ეროვნული პროდუქტის 40 პროცენტზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სფეროში მოდის. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 27 პროცენტს შეადგენდა, მაშასადამე, სიტუაცია ნელა, მაგრამ უმჯობესდება.

დღეს, ხაზი გაუსვა ბაკურ გულუამ, დასახულია ამოცანა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ქვეყანა შეძლებს საკუთარი რესურსების ხარჯზე უზრუნველყოს თავისი სასურსათო უსაფრთხოება. ეს შესაძლოა მხოლოდ კერძო საკუთრებაში მიწების გადაცემით, აგრარულ სექტორში ინტეგრაციული პროცესებით. უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მოდერნიზაცია მოწინავე ტექნოლოგიებისა და დარგის მართვის მეთოდების საფუძველზე. ბაკურ გულუამ ხაზი გაუსვა, რომ არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა, არც ერთი სერიოზული გადაწყვეტილება არ მიღებულა ქართველ მეცნიერ აგრარიკოსთა აზრის გაუთვალისწინებლად, რომელთა დიდ ინტელექტუალურ და შემოქმედებით პოტენციალს შემდგომშიც გამოვიყენებთ.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ისეთ პირობებში, როცა ბიუჯეტს არ შეუძლია დარგის დაფინანსების უზრუნველყოფა, უნდა ჩამოყალიბდეს ეფექტიანი საკრედიტო სისტემა. ამასთან დაკავშირებით აღნიშნა საკრედიტო კავშირების შექმნის მნიშვნელობა, რომელთა რაოდენობამ ქვეყანაში 160-ს მიაღწია. უნდა მოგვარდეს აგრობიზნესბანკის მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის, სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ბაკურ გულუამ აღნიშნა, თუ რა დიდ დახმარებას უწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები, პარტნიორი სახელმწიფოები ქვეყნის აგრარული სექტორის განმტკიცებას.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის სახელმწიფოების საელჩოების წარმომადგენლებმა სხდომაზე ილაპარაკეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში უკვე განხორციელებული და დასახული პროგრამების შესახებ. ხაზი გაუსვეს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაწევისას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ წაწყდომიან კორუფციის შემთხვევებს.

საკრედიტო კავშირების ხელმძღვანელებმა სხდომაზე გამოსვლისას გააანალიზეს საგრძნობი ეფექტი, რომელიც მოჰყვა ინტეგრაციის ამ მოწინავე ფორმას. შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონის ამაღლება, სოფლის მოსახლეობის შრომითი მოწყობის პრობლემის გადაჭრა, რომელიც კვლავაც მწვავედ დგას ქვეყანაში.

განიხილეს საკითხები, რომლებიც უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და განათლების განვითარებას, მთის რეგიონების რეაბილიტაციას, აგრარულ სფეროში საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფას, გადამამუშავებელი მრეწველობის მოდერნიზაციას, სხვა აქტუალურ პრობლემებს.

საბოლოოდ მიღებულია აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს სხდომის რეგლამენტი და საბჭოს მუშაობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს მონაწილეებმა წამოაყენეს.

სხდომის შედეგების შეჯამებისას პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ აგრარულ დისკუსიას რეალური შედეგები მოჰყვება.

— ამას ის სკეპტიკოსებისათვის ვამბობ, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — რომლებიც აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს შექმნის წინააღმდეგი იყვნენ. დღევანდელმა სხდომამ კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ეს სტრუქტურა, რომლის მიზანი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „უზრუნველყოს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება“, იმედს ამართლებს. აგრარული პოლიტიკის საბჭო იქმნებოდა, როცა ქვეყანა „შიმშილის დაძლევის სტადიაში“ იმყოფებოდა. მაშინდელ და დღევანდელ მდგომარეობას თუ შევადარებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა წინ სოფლის მეურნეობის ახალი სისტემის შექმნის, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზით, განვლილია საერთაშორისო სტრუქტურებთან ურთიერთობის დიდი სკოლა.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, იმის მიუხედავად, რომ დღეს თავს იჩენს ახალი კრიზისის შედეგები, რომელმაც მარტო საქართველო როდი მოიცვა და რომელიც არ იყო განპირობებული ქვეყნის ხელმძღვანელობის მუშაობის არაეფექტიანობით, ამოცანა იგივე რჩება. საქართველო იმ სახელმწიფოდან, რომელიც მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული, უნდა გადაიქცეს ქვეყნად, რომელიც შეძლებს თავისი პროდუქციის ექსპორტს. ერთადერთი დარგი, რომელსაც ძალუძს მოახდინოს სასწაული — მოკლე დროში გაიტანოს საქართველოს პროდუქცია ევროპისა და მსოფლიოს ბაზარზე — ეს არის სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, რომელთა საქართველოში საქმიანობის შესახებაც კარგად უნდა იყოს ინფორმირებული ქვეყნის ფართო მოსახლეობა. მეორე მხრივ, აღნიშნა მან, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც მატულობს საქართველოსადმი ნდობა. სხდომაზე საერთაშორისო ორგანიზაციების, საზღვარგარეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა გამოსვლები მოწმობს, რომ დღეს ისინი საქართველოს სერიოზულ პარტნიორად მიიჩნევენ.

— არ შემიძლია განსაკუთრებული კმაყოფილებით არ აღვნიშნო ქვეყანაში საკრედიტო კავშირების წარმატებული საქმიანობა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — ძალიან მინდა ცალკე შევხვდე და ვესაუბრო ამ მოძრაობის წარმომადგენლებს. ზოგიერთი ოპონენტი ამტკიცებს, რომ ეს კოლექტივიზაციისაკენ დაბრუნებაა. მათ ვერ დავეთანხმები. საკრედიტო კავშირები ინტეგრაციის ახალი ფორმაა, რომელიც იძენს საერთაშორისო მხარდაჭერას და უნიკალურ შესაძლებლობებს უქმნის ადამიანებს. აქ გაერთიანებული ადამიანები მუშაობენ სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ხალხის მომავლისათვის.

დღეს, მიაჩნია პრეზიდენტს, დგება საერთაშორისო ბაზარზე გასვლის საკითხი. თანამეგობრობის ქვეყნებში ზოგიერთი ჩვენი პარტნიორი უკვე ამჯობინებს იყიდოს ქართული ჩაი და არ შემოიტანოს იგი ცეილონიდან, ქართული ღვინო ურჩევნიათ იტალიურს. და ეს პროცესები შეიძლება განვითარდეს. თუ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ქვეყანაში შეუძლებელი იყო თოხიანი კაცის ნახვა, დღეს ყალიბდება გლეხების, ფერმერების ფენა, რომლებიც ჩვენი სოფლის მეურნეობის პოტენციალს შეადგენენ. იაპონიაში მეტად დიდი მოთხოვნაა ქართულ ღვინოზე, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მივმართავ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს: დაეხმარეთ საქართველოს მეჩაიეობის რეაბილიტაციაში. 4-5 მილიონი დოლარია საკმარისი, რომ ქართულმა ჩაიმ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე, როგორც ეს მოხდა ზოგიერთი მეღვინეობის პროდუქტებთან, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ დაღუპვის ზღვარზე იყო.

ედუარდ შევარდნაძემ ფინანსთა მინისტრს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მოუწოდა გამონახონ შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობაში სუბსიდიების გამოყოფისათვის. მან ხაზი გაუსვა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებში სერიოზული ცვლილებების აუცილებლობას. უნდა შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელიც ხელს მოკიდებს დაბეგვრის სისტემის სრულყოფას. არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა ბაზრის დაცვა კონტრაბანდისა და ფალსიფიცირებული პროდუქციის ნაკადისაგან. სანამ ქვეყანაში ფალსიფიცირებული პროდუქცია იარსებებს, დარწმუნებულია პრეზიდენტი, ნორმალური წარმოებისათვის პირობების შექმნა შეუძლებელია. ამავე დროს, როგორც მან თქვა, საქართველო ესწრაფვის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას, და თუ დღეს შეიძლება ლაპარაკი ცალკეული დარგებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაზე, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ქართველ მეწარმეებს თავისუფალი კონკურენციის მკაცრ რეჟიმში მოუწევთ მუშაობა. საამისოდ მზად უნდა ვიყოთ.

ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება მიაპყრო კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს — მთის რეგიონებისადმი მხარდაჭერას. როგორც მან თქვა, დღეს საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ ასეთი 6-7 რაიონის დახმარების პროგრამებს. დროთა განმავლობაში ეს პროგრამები 27 რაიონს მოიცავს. პრეზიდენტმა საჭიროდ მიიჩნია ექსპერიმენტის სახით საკრედიტო კავშირები შეიქმნას გალის რაიონში და ცხინვალის რეგიონში. საქართველო, აღნიშნა მან, მტკიცედ დგას კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების პოზიციებზე, და ამ თვალსაზრისით კონფლიქტის ზონებში ეკონომიკურ შეღწევას შეიძლება ძალზე კარგი შედეგები მოჰყვეს.

— ქვეყანაში რეფორმები, — ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, — ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენ გზის დასაწყისში ვიმყოფებით. გადასაწყვეტია ბევრი პრობლემა, რომლებიც უკავშირდება, კერძოდ, მიწის საკუთრებას, იჯარას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. საქართველოში მიმდინარეობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ეს ისეთი საშინელი სენია, რომლის განკურნებაც ზოგჯერ დიდხანს ვერ ხერხდება. გულისტკივილით შევიტყვე, რომ კორუფციას ფესვები გაუდგამს ისეთ ავტორიტეტიან ორგანიზაციაშიც კი, როგორიცაა ევროკომისია. ასე რომ, შეურიგებელი ბრძოლა გველის.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანა კრიზისში იმყოფება, მისი დაძლევის სიმპტომები უკვე თავს იჩენს. ეს სამერმისოდ დიდ იმედებს გვისახავს.

პრეზიდენტმა სხდომის ყველა მონაწილეს წარმატებები უსურვა რეფორმების, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

საქინფორმი.

№81-82. კვირა-ორშაბათი. 28-29 მარტი. 1999 წელი.

# კოსოვოს კვანძი





მესამე ღამეა ზედიზედ, ნატოს ავიაცია ბომბავს იუგოსლავიას. დარტყმები პირველად განხორციელდა ბელგრადის ცენტრის მახლობლად მდებარე რაიონებზე. ქალაქში ისმოდა მძლავრ აფეთქებათა გრიალი. ოფიციალური ცნობების თანახმად, დაიბომბა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ობიექტები. ერთ-ერთი ბომბი მოხვდა ფარმაცევტულ ქარხანას და აფეთქების დროს ჰაერში ავარდა შხამიანი ღრუბელი. ამავე დროს მეზობელმა ბოსნია-ჰერცეგოვინამ იუგოსლავიას ბრალად დასდო კონფლიქტის გეოგრაფიის გაფართოების ცდები. ამას წინ უძღოდა იუგოსლავიის სამი მიგ-29 გამანადგურებლის ცდა, შეეტიათ ბოსნიაში განლაგებული სტაბილიზაციო ძალებისათვის, რომელთაც ნატო უდგას სათავეში. ნატო ამტკიცებს, რომ ჩამოაგდეს ორი თვითმფრინავი ბოსნიის თავზე. იუგოსლავია ამ ინციდენტს საერთოდ უარყოფს. როგორც იტარ-ტასის სააგენტო იუწყება, ბოსნია-ჰერცეგოვინაში განლაგებული რუსი მშვიდობისმყოფლები გადავიდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უშუალო დაქვემდებარებაში.

ნატო, აგრეთვე, ბომბავს იუგოსლავიის სხვა ნაწილებს, უპირატესად კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინას. დაბომბვის მესამე ღამეს ვაშინგტონმა განაცხადა, რომ ნატომ გააორკეცა კოსოვოში დარტყმები იუგოსლავიის არმიისა და სერბული პოლიციის პოზიციებზე. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა კოსოვოში მძვინვარე სისასტიკის გამო. პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი ახორციელებს შეტევას მხარის ალბანელებზე. კოსოვოდან მიღებული ცნობების თანახმად, მშვიდობიან მცხოვრებთ ალყაში იქცევენ და ხვრეტენ, პროვინციაში დათარეშობენ მაროდერები, რომლებიც სახლებს წვავენ.




რუსეთი კვლავინდებურად ცხადყოფს დიპლომატიურ ოპოზიციას ნატოს დარტყმებისადმი. საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ნატოს დააკისრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იუგოსლავიაში განხორციელებული გენოციდისათვის, და თქვა, რომ მოსკოვი ბელგრადში გაგზავნის ჰუმანიტარულ დახმარებას. გუშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დაგმო ნატოს მოქმედება საგანგებო სესიაზე. ამავე დღეს აშშ, მოსკოვის, ათენისა და პარიზის საელჩოებთან მოეწყო ბობოქარი დემონსტრაციები. პრეზიდენტმა კლინტონმა მაკედონიაში გაგზავნა ასი ქვეითი საზღვაო ჯარისკაცი სკოპლეს საელჩოს დასაცავად.






გუშინ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა, პრეზიდენტ ელცინის დავალების შესაბამისად, თათბირი გამართა ძალოვანი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან იმ სიტუაციის გამო, რომელიც იქმნება იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს მოქმედების შედეგად.

## კლინტონმა ტელევიზიით მიმართა ქვეყანას



შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი ქვეყნისადმი ტელემიმართვით გამოსვლისას შეეცადა, აეხსნა ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვის მიზეზები. სანამ თავის არგუმენტებს მოიყვანდა, იგი იძულებული იყო თანამემამულეებისათვის წაეკითხა ერთგვარი მოკლე ლექცია ბალკანეთის ისტორიისა და პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ. ამ გამოსვლას თან სდევდა რეგიონის გეოგრაფიული რუკის ჩვენება.

კლინტონმა არსებითად უცვლელად გაიმეორა თავისი ადრინდელი განცხადების თეზისები, რომლებიც სამხედრო ოპერაციის დაწყებისთანავე გააკეთა. მან, აგრეთვე, ჩამოაყალიბა იმ მოთხოვნათა არსი, რომლებიც ნატომ წაუყენა ბელგრადს. როგორც პრეზიდენტმა თქვა, ბელგრადისგან მოითხოვდნენ, მიელო კოსოვოს მშვიდობიანი მოწესრიგების შეთანხმების პირობები, აგრეთვე, მოეხდინა ამ ავტონომიური მხარის დემილიტარიზაცია.

ამერიკის ადმინისტრაციის მეთაურმა დაადასტურა, რომ არ აპირებს შეერთებული შტატების სახმელეთო ჯარების გაგზავნას კოსოვოში „ომის საწარმოებლად“. ეს არსებითად ნიშნავს ოფიციალური ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების ცნობილი თეზისის დადასტურებას, რომ სახმელეთო ძალები კოსოვოში შეიძლება შეიყვანონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონფლიქტში ჩაბმული მხარეები დათანხმდებიან პოლიტიკურ მოწესრიგებას.

პრეზიდენტმა თავის სიტყვაში ორჯერ გაკვრით ახსენა რუსეთის როლი ბალკანეთის სამშვიდობო ღონისძიებებში. ამით კლინტონმა მისახვედრად თქვა, რომ ვაშინგტონში აფასებენ მოსკოვთან პარტნიორულ ურთიერთობას. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე სტროუბ ტელბოტი რუსი ჟურნალისტებისათვის ვაშინგტონში სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე ირწმუნებოდა, რომ შემთხვევითი არ არის, როცა პრეზიდენტი და შეერთებული შტატების სხვა უმაღლესი თანამდებობის პირები აცხადებენ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან თანამშრომლობას.

## ჰენრი კისინჯერი: კონფლიქტი ალბანელებზეც გავრცელდება

„ნატოს დანიშნულება არასდროს ყოფილა იმ ლიდერების დამხობა, რომლებიც ჩვენ არ მოგვწონს“, – განაცხადა ყოფილმა აშშ სახელმწიფო მდივანმა, ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკოსმა ჰენრი კისინჯერმა, როცა კომენტარი გაუკეთა იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების გადაწყვეტილებას.

„მე ეჭვის თვალით ვუყურებ დოქტრინას, რომლის თანახმად ნატო წყვეტს, როგორი უნდა იყოს იმ სახელმწიფოების საშინაო მოწყობა, რომლებიც არ წარმოადგენენ ნატოს ნაწილს, – განაცხადა მან ეი-ბი-სი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში – ჩვენ შეიძლება რაღაც სხვას ვამჯობინებდეთ. შეგვიძლია გამოვიყენოთ ეკონომიკური და დიპლომატიური ზემოქმედება. მაგრამ ვშიშობ, რომ სანანებლად გაგვიხდება მოვლენათა განვითარების შედეგები, როცა იძულებული ვხდებით გამოვიყენოთ სამხედრო ძალა, ამერიკის შეიარაღებული ძალები და საფრთხე შევუქმნათ ამერიკელთა სიცოცხლეს.

კისინჯერმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მთავრობაში აღარ არის, იგი არაფერს ასე არ შეუწუხებია ამერიკის სამხედრო მოქმედების გამო. „უნდა შევნიშნო, რომ ამ სამხედრო ოპერაციის მიზანია დააცვეინონ სერბებს რამბუიეში მიღწეული შეთანხმება. ეს შეთანხმება, ჩემი აზრით, ძნელი შესასრულებელია და ამას მოჰყვება ის, რომ კოსოვოში გაგზავნიან შეერთებული შტატებისა და ნატოს სახმელეთო ჯარებს. უფრო მეტიც, საბოლოო ანგარიშით, ამას მოჰყვება კონფლიქტი ალბანელებთან, რადგან შეთანხმება ითვალისწინებს კოსოვოს ავტონომიას, ალბანელებს კი სურთ დამოუკიდებლობა. იგი ითვალისწინებს ალბანელ ბოევიკთა განიარაღებას, რასაც ისინი არასდროს არ დათანხმდებიან... ჩვენ მოვიგებთ პირველ რაუნდს, მაგრამ შიშით თმა ყალყზე მიდგება, როცა ვფიქრობ, რა შეიძლება მოხდეს მოვლენების განვითარების კვალობაზე, რადგან ეს არ არის ბოსნია. მე მხარს ვუჭერდი მოქმედებას ბოსნიაში, რადგან იქ ცხადი იყო გამყოფი ხაზი, შედეგების გათვლა კი – შესაძლებელი. ახლანდელ პირობებში ასეთი გამყოფი ხაზები არ არის და შედეგების განჭვრეტაც შეუძლებელია. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება და მიგვიყვანს არა მარტო სერბებთან კონფლიქტამდე, რაც უკვე მოხდა, არამედ ალბანელებთანაც კონფლიქტი ჩამოვარდება“.

## RADIO LIBERTY, BBC, CNN

პარაგვაის პრეზიდენტმა რაულ კუბასმა ბრძანა, გამოიყვანონ ტანკები ასუნსიონის ქუჩებში მას შემდეგ, რაც სამი დღეა, გრძელდება შეტაკებანი პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის, რომლებიც მის გადადგომას მოითხოვენ. პრეზიდენტის პრესმდივნის განცხადებით, ამ ღონისძიების მიზანია, დაიცვას მოსახლეობა, და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ათასობით ხელისუფლებადაჭდობილმა კაცმა ალყა შემოარტყა პარლამენტის შენობას, რათა არ გაეტარებინათ ტანკები. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, დემონსტრანტებს ესროლეს, არიან დაჭრილნი. პარაგვაის სენატმა პრეზიდენტ კუბასს დაავალა, წარსდგეს სასამართლოს წინაშე და



პასუხი გასცეს ბრალდებას უფლებამოსილების გადამეტების შესახებ. ბრალდებები დაიწყო მაშინ, როდესაც კუბასმა უარი თქვა, თავისი მომხრე, შეიარაღებული ძალების ყოფილი სარდალი ლინო ოვიედო ციხეში ჩაესვა 1996 წლის გადატრიალების მცდელობისათვის.

## პატრიარქ ალექსის მოწოდება

სერბი ხალხის სულიერი და მორალური მხარდაჭერისათვის მოუწოდა რუსეთელებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ.

იუგოსლავიაში მიმდინარე სამხედრო აქციით, მიაჩნია პატრიარქს, „შეერთებული შტატები და ნატო ახალ მსოფლიო წესრიგს ამყარებენ და არ ითვალისწინებენ დანარჩენი ქვეყნების აზრს. ყოველივე ეს კი საშიშროებას უქადის ევროპასა და მსოფლიოს“, – თქვა ალექსი მეორემ. მოძმე სლავი და ერთმორწმუნე ხალხისთვის რუსეთის მხარდაჭერა, როგორც მან აღნიშნა, საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვაც არის, რომელიც იქმნებოდა ომისშემდგომ წლებში ევროპასა და მსოფლიოში. „ჩვენ ყველას გვახსოვს „ცივი ომის“ ხანა და დღეს არავის აქვს უფლება, დაარღვიოს საერთაშორისო დონეზე მიღწეული სამართლებრივი ნორმები და მსოფლიო ახალი ომის საფრთხის წინაშე დააყენოს“.

პატრიარქმა ალექსიმ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას, რომელმაც კატეგორიული პროტესტი განაცხადა ნატოს სამხედრო აქციის წინააღმდეგ. არანაირი გამართლება არა აქვთ ქვეყნებს, მიაჩნია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, რომლებიც თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ, მაგრამ ანტიქრისტიანულად იქცევიან, როცა კონფლიქტს აჩაღებენ და ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებთ. და ეს მაშინ, როცა „ჯერ კიდევ არ ამოწურულა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებები“.

იუგოსლავიის კონფლიქტში პატრიარქმა ალექსიმ დაადანაშაულა ძალები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ალბანელ სეპარატისტებს. მან აღნიშნა, რომ დიდი ხანია, ალბანელები და სერბები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით.

„ჩრდილოატლანტიკური ბლოკი სახიფათო პრეცედენტს ქმნის“, – განაცხადა პატრიარქმა ალექსიმ. მან, აგრეთვე, გამოთქვა კმაყოფილება, რომ „რუსეთის ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა იუგოსლავიაში კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას“.

„სერბ ხალხთან ერთად ვილოცებთ იმისათვის, რომ უფალმა გონს მოიყვანოს ნატოს ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებმაც მანკიერი ნაბიჯი გადადგეს და ღმერთს შესცოდეს“, – თქვა პატრიარქმა ალექსიმ.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით.

გვერდს უძღვებიან არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

## ინტერვიუ ფაქსით

# კოსოვოს კრიზისი და საბერძნეთის პოზიცია

(პირველი გვერდიდან)

– ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საჰაერო შეტევა იუგოსლავიაზე რთულ პრობლემად იქცა საბერძნეთისათვის. ნებისმიერი დესტაბილიზაცია რეგიონში, მით უმეტეს, აშკარა სამხედრო დაპირისპირება საკუთარი საზღვრების სიახლოვეს არ აძლევს ოფიციალურ ათენს დაჯერდეს მოვლენათა გულგრილად შემყურის როლს. ბალკანეთის პრობლემატიკა ბუნებრივ კავშირშია ბერძნულ რეგიონულ დისპუტებთან იმდენად, რამდენადაც ბალკანურ განზომილებაში ტრადიციულად ნათლად აღიქმება ათენის სახელმწიფოებრივი ინტერესები. იგივე ალბანეთის, მაკედონიის, იუგოსლავიის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური პრობლემატიკა უმალვე ახდენს გავლენას ბერძნულ სინამდვილეზე. სწორედ ბალკანეთთან მიმართებაში იჩენს ხოლმე თავს ათენ-ანკარის ტრადიციულ დაპირისპირებათა სრული პოლიტიკური გამა.

დღეს საბერძნეთი ემზადება ლტოლვილთა მისაღებად. კრიზისების საწინააღმდეგო სამთავრობო კომისიას შემუშავებული აქვს საგანგებო გეგმა 3000-ზე მეტი იუგოსლაველი და ალბანელი ლტოლვილის მოსათავსებლად ჩრდილოეთ საბერძნეთის მიტოვებულ სამხედრო ბანაკებში, სკოლებში და სასტუმროებში.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საბერძნეთი ერთ-ერთ იმ სახელმწიფოთაგანია, ვის ინტერესშიც არ შედის იუგოსლავიის დაბომბვა და საერთო ბალკანური ომის ესკალაცია. ჯერ ერთი, ეს სახიფათოა საომარ მოქმედებათა გეოგრაფიული სიახლოვის გამო და თანაც ნატოს წევრ ათენს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს. ერთია ალიანსის წინაშე ვალდებულებები და მეორე კი ბერძნული ტრადიციული რეგიონული პრობლემატიკის მიხედვით ჩამოყალიბებული პოლიტიკური ვექტორი.

25 მარტს ბერლინში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა სამიტზე საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა სიმიტისმა განაცხადა, რომ „კოსოვოში კრიზისის მოწესრიგების მხოლოდ პოლიტიკური საშუალება არსებობს და პრობლემა ვერ გადაწყდება სამხედრო ძალისა და ინტერვენციის გზით. დაუშვებელია საზღვრების გადასინჯვის მცდელობა. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ლტოლვილებს. უნდა შემუშავდეს მშვიდობიანი მოწესრიგების პირობები, რათა თავიდან ავიცილოთ შეტაკება პოლიტიკურად, განსაკუთრებით – შყიფე რეგიონში. საბერძნეთი მონაწილეობას არ მიიღებს არანაირ სამხედრო აქციაში“. ამ ოფიციალურ პოზიციას მეტ-ნაკლები ენთუზიაზმით იზიარებს ხელისუფლების ყველა ფრთა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბერძნული ოპოზიციური პარტიებიც. იმავე 25 მარტს, საბერძნეთის მთავარი ოპოზიციური პარტიის „ნეო დემოკრატიის“ ლიდერმა კარამალნისმა განაცხადა, რომ „კოსოვოს პრობლემა უნდა მოწესრიგდეს მხოლოდ პოლიტიკური საშუალებით და დღეს მსოფლიოში არ უნდა არსებობდეს კონფლიქტური სიტუაციების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების გზა“.

ოფიციალური ათენის თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ფიგურამ და პარტიამ გამოხატა პრემიერის პოზიციის ადეკვატური დამოკიდებულება. კატეგორიული იყო საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარე კაკლამანისი, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ „რცხვენია იმ ევროპის მოქალაქეობა, რომელიც დაუფიქრებლად გადაეშვა სახიფათო თავგადასავლებში და თანაც აშშ პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელიც აშკარა სამხედრო აგრესიის დაფარვას ჰუმანური მოსაზრებებით ცდილობს“. სამხედრო აქციის საწინააღმდეგოდ პოლიტიკური დიალოგის მცდელობას დაუჭირა მხარი საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა ცოხაძოპულოსმა, ინფორმაციის მინისტრმა რეფასმა. რა თქმა უნდა, უკიდურესად კატეგორიული პოზიცია გამოხატა საბერძნეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც პირდაპირ მოუწოდა სერბების მხარდასაჭერად ალიანსის წინააღმდეგ.

დაგმო ნატოს სამხედრო აქცია ბერძნულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. ათენისა და სრულიად საბერძნეთის არქიეპისკოპოსის თქმით, „არ შეიძლება ხალხის პრობლემა იარაღით გადაწყვიტო და თან სისასტიკე დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის უფლებების დაცვით გაამართლო. მრცხვენია იმ ქრისტიანთა მაგიერ, ვინც რელიგიურ მოძმეთა წინააღმდეგ მოატრიალა იარაღი“.

მწვავე რეაქცია გამოიწვია პრეზიდენტ კლინტონისა და პრემიერ-მინისტრ ბლეირის განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ ნატოს სამხედრო აქციის ერთ-ერთი მიზანი, კოსოვოს კრიზისიდან გამომდინარე, თურქულ-ბერძნული დაპირისპირების ესკალაციის თავიდან აცილება იყო.

კოსოვოს კრიზისის შემდგომი გართულების ერთ-ერთ შესაძლო შედეგად ანკარა-ათენს შორის ისედაც რთული ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა, ბუნებრივია, ხელს არ აძლევს არა მარტო საბერძნეთს, არამედ თურქეთსაც. საქმე ის არის, რომ, კლინტონისა და ბლეირის პროგნოზით, კოსოვოს კონფლიქტის მეზობელ ქვეყნებზე გავრცელება, უპირველესად, ათენ-ანკარის მაგალითზე მოხდება. თეთრი სახლისა და დაუნინგ სტრიტის ამგვარი სახიფათო პროგნოზი მიუღებელია საბერძნეთისა და თურქეთისათვის. „კოსოვო ცალკე შემთხვევაა და არაფერი ესაქმება თურქულ-ბერძნულ ურთიერთობასთან. თუკი ვინმე რაიმე კავშირს ეძებს, ცდება“, – განაცხადა სიმიტისმა. დაახლოებით ასეთივე შეფასება მისცა კლინტონ-ბლეირის პროგნოზს ოფიციალურმა ანკარამაც. „ომი საბერძნეთსა და თურქეთს შორის მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიწყოს, თუ ათენი ნატოდან გამოვა და სერბებს დაუჭერს მხარს. ეს კი, დამეთანხმებით, ნაკლებად სავარაუდოა“, – განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა.

კლინტონის განცხადებასთან დაკავშირებით იმდენად მწვავე იყო ათენის რეაქცია, რომ საპროტესტო დემარშიც კი გაეგზავნა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს.

ერთი რამ ფაქტია. საბერძნეთი ნაკლები ენთუზიაზმით გამოეხმაურა ნატოს სამხედრო აქციას. შექმნილ სიტუაციაში ბერძნები მოქმედებენ მხოლოდ იმ დოზით რა მინიმუმითაც ალიანსის წევრობა ავალდებულებს ამ სახელმწიფოს და, ალბათ, ათენის მხრივ არანაირი სახის სამხედრო ჩარევა არ მოხდება, მანამ შესაძლებელია.

გაცნობებთ იმასაც, რომ ბოლო ორი დღის მანძილზე ათასი დემონსტრანტი პიკეტებს მართავს აშშ საელჩოს ათენში, მოითხოვს იუგოსლავიის დაბომბვის შეწყვეტას.



ფაქსთან მორიგეობდა
**ბონდო მძინარაშვილი.**

## გვეხმაურებიან

# სითბო არასოდეს გამინელდება...

„საქართველოს რესპუბლიკამ“ 1998 წლის 24 აპრილს გამოაქვეყნა მწერლისა და ჟურნალისტის ვალერიან ჩეკურიშვილის ნარკვევი „ერთი არშინით მაღალი“, რომელიც ახმეტის რაიონის მკვიდრს, დიდებულ პიროვნებას ახმად მარგოშვილს ეძღვნება. (როგორც ავტორი აღნიშნავს, მას ბატონ ახმად მარგოშვილთან ბავშვობის წლები აკავშირებს).

თვალწინ წარმომიდგა, მართლაც არაჩვეულებრივი პიროვნება, დინჯი, საქმიანი და, რაც მთავარია, კაცთმოყვარე ამად მარგოშვილი. გარკვეული პერიოდი მეც ვიყავი მის სიახლოვეს: ერთ სისტემაში ვმუშაობდით და ხშირად ვხვდებოდით. მე რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“ სამმართველოს უფროსად ვმუშაობდი, ახმადი „სოფლტექნიკის“ ახმეტის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო. გაერთიანებაში მოდიოდა მხოლოდ კარგი და საქმიანი წინადადებების მხარდასაჭერად.

მინდა ერთი მომენტი მეც გავიხსენო. მივლინებაში ვიყავი ახმეტის რაიონში. ახმადმა, საქმეს რომ მოვრჩით, სადილზე მიმიწვია. მწვადი მომაწოდა, თვითონ კი არ გადაიღო. პირველად ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ მეორედ რომ ასევე მოიქცა, გურული იუმორით შევეკითხე „ძამა, შენ ჩემზე ცდას ხომ არ ატარებ მეთქი“...

გაიღიმა და ყურში მითხრა, ქისტები ღორის ხორცს არ ვჭამთ და ჩვეულებას ვერ ვულალატებო.

მაშინ გავიგე და მივხვდი, რასაც მეუბნებოდა და ვინც იყო იგი. მართალი გითხრათ, ჩემთვის არც მაშინ და არც ახლა არა აქვს მნიშვნელობა ადამიანის სადაურობას, მთავარია, იყოს კაცი, უყვარდეს და პატივს სცემდეს იმ ქვეყანას, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

სწორედ ასეთ პიროვნებად ვიცნობ ბატონ ახმადს, რომელიც თავისი ღირსებებით და კაცურკაცობით ქართული ტრადიციების დამფასებელი და მატარებელია. იგი არავისზე ნაკლები პატრიოტი არ არის საქართველოსი.

ჩავლილია ავადმოსაგონარი წლები, როდესაც ქართულ-აფხაზური ომის დროს ათასი ჯურის ვიგინდარასთან ერთად ზოგიერთმა ვაიჩეჩენმაც ხელყო ჩვენი ქვეყნის მთლიანობა, ახლა უკვე ნათელია, თავი ვინ შეირცხვინა – ის თავის ქვეყანაშიც მუწუკი იყო. წესიერი და პატიოსანი ჩეჩენი ყოველთვის არის ჩვენი ხალხის ძმა და მეგობარი. ჩეჩენთა მთელი დასახლებებია ახმეტის რაიონში. ქისტები ოდითგანვე თანხმობით და ძმობით ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად. შარშან, ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად ყოფნის დროს, ბატონი ასლან მასხადოვი საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ეწვია თავის თანამემამულეებს პანკისის ხეობაში. როგორც ჩანს, მასზე ისე იმოქმედა იქ ნანახმა და განცდილმა, რომ ქართველი ერისადმი მადლიერების სიტყვები არა მარტო საქართველოში წარმოთქვა, არამედ პოლონეთში მოგზაურობის დროსაც. „ახალი ქართული გაზეთის“ ვარშაველი კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ასლან მასხადოვმა განაცხადა: „ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, ისე აღვიქვამთ... ქართულ-ჩეჩნური ურთიეთრობის განმტკიცებას ვერავინ აღუდგება წინ. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი პატივისცემა მინდა გამოვხატო ქართველი ერისადმი, საქართველოს ხელისუფლებისადმი, როგორც ჩემი, ასევე მთელი ჩეჩენი ერის სახელით, რამეთუ ჩვენი გრძნობები გულწრფელია თქვენდამი“.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, არც თუ ისე შორეული მოვლენების გამო, ნგრევის პირას მივიდა, „სოფლტექნიკაც“ საკმაოდ დაზარალდა. ფაქტობრივად დარგმა დაკარგა პირვანდელი ფუნქცია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბატონი ახმადი არ თმობს პოზიციას და შეძლებისდაგვარად გვერდში უდგას ახმეტის რაიონის თავკაცებს, მისი ძალისხმევით თითქმის შეინარჩუნეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო სექტორის დახმარების თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, ბატონი ახმადი თავს არ შეირცხვენს და მისი ხელმძღვანელობით რაიონის მექანიზატორები თავდაუზოგავად იმუშავებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად.

მინდა გავიხსენო ბატონ ახმადთან ჩემი ურთიერთობის კიდევ ერთი მომენტი... ბინა ახალმიღებული მქონდა, როდესაც იგი ჩემს სახლში მობრძანდა სხვა „სოფლტექნიკელებთან“ ერთად. როგორც ჩანს, ბატონმა ახმადმა ყურადღება მიაქცია, რომ რემონტი მქონდა დაწყებული, ჩვენი გზები უკვე კარგა ხნის გაყრილი იყო – ერთ სისტემაში აღარ ვმუშაობდით, მაგრამ პარკეტით დატვირთული მანქანა მაინც გამომიგზავნა...

დაგვიანებული მადლობა მინდა მოგახსენოთ, ბატონო ახმად! გისურვებთ ჩვეული კაცურკაცობით გაგეტარებინოთ ცხოვრების დარჩენილი წლები. ვუსურვებ თქვენს დიდ ოჯახს და სრულიად საქართველოს ბედნიერებას, სიხარულს, ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა მადლიერი შვილები.

მადლობას ვუხდი ბატონ ვალერიან ჩეკურიშვილს გულითადი წერილისათვის, რომელმაც სტიმული მომცა ორიოდე სიტყვით გამომეხატა ახმად მარგოშვილისადმი სითბო, რომელიც არასდროს გამინელდება.

**ჯუმბერ ჩხაიძე,**
მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

## კადრი



„შემოდგომის ნატურმორტი“.

ზურაბ ლათუაშვილის ფოტო.

## საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს

## განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო მიმართავს საქართველოში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდას, რომელთაც მიღებული აქვთ აგრარული განათლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, ან გავლილი აქვთ სტაჟირება და გააჩნიათ შესაბამისი სერთიფიკატი: შემდგომი თანამშრომლობის მიზნით გთხოვთ გამოგვეხმაუროთ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში ა/წ-ის 25 აპრილამდე.

ტელ: 98-57-80, ოთახი № 524.

# ეკონომიკა

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველკვირეული დამატება | №11 (63). 28-29 მარტი. 1999 წელი.


## დაზღვევა

# არასოდეს გააკეთოთ ეკონომია

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ რთული და მრავალმხრივია. ურთიერთობათა ფართო სპექტრში თავისი ადგილი ჰპოვა სადაზღვევო ურთიერთობებმა. ისინი გადაიქცნენ საყოველთაო უნივერსალურ საშუალებად – დაიცვან ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი ინტერესები როგორც ბუნებრივი, ისე სხვა ნეგატიური მოვლენებისაგან.

საქართველოს ეკონომიკაში სადაზღვევო საქმიანობის სწრაფი ტემპით ზრდას ხელი შეუწყო კანონმა „დაზღვევის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1997 წლის 2 მაისს. აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე ჩამოყალიბდა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელმაც საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ფორმირებას ჩაუყარა საფუძველი.

ერთიანი სადაზღვევო პოლიტიკის გატარების, მოსახლეობის ფართო ფენებში სადაზღვევო კულტურის ამაღლების და მისი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება დაზღვევის ცალკეულ სახეობებზე სავალდებულო მოთხოვნას. საქართველოს მონაწილეობა ტრასეკას პროექტში, ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი და სხვა პროექტები, ბუნებრივია, განაპირობებს ქვეყნის სადაზღვევო საქმიანობის საერთაშორისო დონეზე წარმართვას. აქედან გამომდინარე, ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშავა რიგი საკანონმდებლო აქტები. მათ შორისაა 1997 წლის 27 აგვისტოს „საქართველოს ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ და 1999 წლის 3 თებერვლის – „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები.

დაზღვევის სავალდებულობა, ბუნებრივია, გარკვეულ უხერხულობას იწვევს, მაგრამ თუ მიღებულ კანონებს საფუძვლიანად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მათ, გარდა ეკონომიკურისა, დიდი სოციალური დატვირთვაც აქვთ.

ქვეყნის ავტოსატრანსპორტო შემთხვევებში გარდაცვლილთა რიცხვი რამდენიმე ასეულს აღემატება. წელიწადში 3000-მდე ხანძარი ხდება. მიყენებული ზარალი მილიონობით ლარს შეადგენს. ორივე შემთხვევაში კანონმა უნდა დაიცვას დაზარალებულთა ინტერესები. ასეც არის, დაზარალებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანს, რომელიც გამოწვეულია მფლობელის მიერ ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის შედეგად, ანაზღაურებს სადაზღვევო ორგანიზაცია, ასევე გარანტირებულია ხანძრით დაზარალებულთა ზიანის ანაზღაურება.



მთელ მსოფლიოში აღიარებულია, რომ სავალდებულო დაზღვევის მოქმედების დროს სახელმწიფო გარანტიებს იძლევა იმ სადაზღვევო შემთხვევებზე, რომლებსაც, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიები ვერ ანაზღაურებენ. ამ მიზნით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იქმნება სავალდებულო დაზღვევის სახელმწიფო ფონდი (გერმანია, საფრანგეთი). სავალდებულო დაზღვევის ფონდს, დაზღვევის სახეობების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ამოცანა და ფუნქცია აკისრია. თუ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს ფონდის ამოცანა დაუდგენელია, დაუზღვეველი და გატაცებული ავტომოტოტრანსპორტით დაზარალებულს აღმოუჩინოს კანონით გათვალისწინებული მატერიალური დახმარება, სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის დროს იგი ახორციელებს პრევენტული ღონისძიებების დაფინანსებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობას.

ავტომოტოტრანსპორტით დაზარალებულთა ფონდის ფუნქციონირება 1998 წლის 27 აგვისტოდან დაიწყო. 1999 წლის 1 იანვრისთვის კი ფონდის მიერ დაფარულმა ზარალმა სადაზღვევო ბაზარზე გაცემული ზარალის თანხის მთლიან მოცულობაში 14,3 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც შემოსავალი მთლიანი სადაზღვევო პრემიის 7 პროცენტს არ აღემატება. ეს გვიჩვენებს, რომ ფონდში შემოსული ყოველი ლარი 2-ჯერ უფრო მეტად ემსახურება ზარალის ანაზღაურებას, ვიდრე მთლიანი სადაზღვევო პრემიის 1 ლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მონაცემები ფონდის მუშაობის მხოლოდ 4 თვეს მოიცავს, 1999 წელს დაზარალებულთათვის ზარალის ანაზღაურება გაცილებით დიდი იქნება.

ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევა ეროვნული პროდუქტის არარაციონალურ ხარჯვას იწვევს. მისი თავიდან აცილების საქმეში უდიდესი როლი ენიჭება პრევენტულ ღონისძიებებს. „არასოდეს გააკეთოთ ეკონომია რეკლამაზე და დაზღვევაზე და თქვენი საქმიანობის მწვერვალს მიაღწევთ“ – ასე მოუწოდებდა დ. როკფელერი თავის თანამოაზრეებს და მათ მართლაც მწვერვალები დაიპყრეს ამერიკის ეკონომიკურ განვითარებაში. პრევენტული ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია ერთიანი სადაზღვევო ღონისძიებების განხორციელება, მზღვეველთა და დამზღვევთა თანადგომა, სადაზღვევო კულტურის ამაღლება მოსახლეობის ფართო ფენებში და სხვა.

დღეს საქართველოში 200-ზე მეტი ფონდი ფუნქციონირებს. ბევრი მათგანი მრავალმილიონიან კაპიტალს ფლობს. განსხვავებულია მათი კაპიტალის წყარო და მიზნები. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან არსებული სავალდებულო დაზღვევის ფონდი, მიუხედავად ფინანსური რესურსების სიმცირისა, სერიოზულ მიზნებს ისახავს. იგი სხვა ფონდებთან ერთად თავის მოკრძალებულ სიტყვას იტყვის იმ კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში, რასაც საქართველოს ეკონომიკის მშენებლობა ჰქვია.

**შოთა დავითაშვილი,**
**საქართველოს ავტომოტოტრანსპორტით დაზარალებულთა ფონდის დირექტორი.**

## გვეხმაურებიან

# „ეკონომიკის გაჯანსაღება ხელეწიფებათ პროფესიონალებს“

**ჩვენი გაზეთის მკითხველთა ფართო წრეები დააინტერესა პუბლიკაციამ „ეკონომიკის გაჯანსაღება ხელეწიფებათ პროფესიონალებს“ (1999 წ. 14-15 თებერვალი). რედაქციაში კვლავ მოდის წერილები, ქვეყნის ეკონომიკის ბედით დაინტერესებულ სპეციალისტთა, მეცნიერთა და სხვა სფეროს პროფესიონალთა გამოხმაურებები. ისინი პრინციპში იწონებენ და მხარს უჭერენ არასამთავრობო, საზოგადოებრივი სტრუქტურის შექმნის იდეას. ვაქვეყნებთ ამონაწერებს ზოგიერთი მათგანის გამოხმაურებიდან.**

**ვასო კურტანიძე, ბიზნესის აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი:**

დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების დაქუცმაცებით სოფლის მეურნეობის აღმავლობა შეუძლებელია. საჭიროა, შემუშავდეს ისეთი სისტემა, რომელიც გააერთიანებს გლეხობას თავისი მიწის ფართობით. ამას კი შესაბამისმა სამინისტროებმა უნდა გაუწიონ კოორდინირება.

სწორედ ამისათვის უნდა შეიქმნას მეცნიერების, პრაქტიკოსების, გამოცდილი მუშაკების ბირთვი, რომელიც მოამზადებს სათანადო წინადადებებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების სფეროში. არის თუ არა ამის შესაძლებლობა? ჩემი აზრით, შესაძლებლობაც არის და მხარსაც დაგვიჭერს მოსახლეობა.

ხელისუფლებამ უნდა გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები, რათა აამოქმედოს საკუთარი აგრარული მეურნეობა და მრეწველობა. ამისათვის აუცილებელია მიზანდსახულად გამოიყენონ კრედიტები, ინვესტიციები, დახმარებები და პრივატიზებით მიღებული თანხები.

**ზურაბ ჩხიკვაძე, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი:**

ცნობილია, სასმელი წყლის რა დეფიციტია მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში. ავსტრალიაში სასმელი წყალი რძეზე ძვირია, მაგრამ ღვინოზე ცოტა ნაკლები ღირს. ამავე დროს, საქართველოში გარდა საქვეყნოდ სახელგანთქმული მინერალური წყლებისა („ბორჯომი“, „საირმე“, „ნაბეღლავი“, „ზვარე“ და ა. შ.), გვაქვს ოთხასამდე სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობისა და სამკურნალო დანიშნულების მინერალური წყალი, ხოლო უამრავი წყაროს წყალი უქმად იღვრება, იკარგება.

იმისათვის, რომ ჩვენი წიაღისეული და სასმელი წყლები ეკონომიკის აღმავლობის და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების სამსახურში ჩადგეს, საჭირო და აუცილებელია საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნას საკოორდინაციო-სარეკომენდაციო საბჭო გამოცდილ პრაქტიკოსთა, მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური პროფესიონალი სპეციალისტების შემადგენლობით.

## მეწარმე

# „ფანტომასი“ „ფურთუმატე“ და სხვები

**მარშან, შუაგულ ზაფხულში, როცა ქალაქში სუნთქვა ჭირდა, ჩვენს თავს ერთი შაბათი „მოვპარეთ“ და ჭიაფერის ღელეებისაკენ ავიღეთ გეზი: ფერმერმა ვალიკო სახლთხუციშვილმა შემოგვითვალა, თუ ძველ მეგობრობას პატივსა სცემთ, ჩამოდით და მნახეთო.**

**ჩვენც ჩავედით და ვნახეთ. ოცდაექვს წელიწადზე მეტი იყო, მე და ვალიკომ ერთმანეთისა არაფერი ვიცოდით. ეჭვიც კი მეპარებოდა, ვიცნობ თუ არა-მეთქი ჩვენს „ფანტომასს“, როგორც მას ახმეტელებმა სიყვარულით შეარქვეს. მაშინდელი შთაბეჭდილებები გავამთლიანე ნარკვევში „ფანტომასი“ იცვლის პროფესიას“, რომელიც 23 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა. ვალიკოს მაშინ არც არაფერი შეულამაზებია და არც არაფერი დაუმალავს – ფერმებიც გვიჩვენა, ცხვარ-ძროხაც, ღორებიც და ბურვაკებიც. გაჭირვებულ ყოფაზეც გულახდილად გვესაუბრა და სამომავლო გეგმებზეც. მერე, საღამო ხანს, კარგი სუფრაც გაშალა.**

იმის შემდეგ შვიდი თვე გავიდა. აი, წელში გაწყდა უთოვლო ზამთარი. დიდი ხანია, ასეთი უნალექო და თბილი ამინდები არ გვახსოვს. ქალაქელებს, იცოცხლეთ, გაგვიხარდა: ამინდი ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს, გამოციებულ სახლებს ცოტა სითბო შეეპარა. მაგრამ, აბა იმათ გულში ჩავიხედოთ, ვინც ცის ნამზე და ხარის ქედზეა დამოკიდებული! ყველაფერი იმაზეა გათვლილი, მოვა თუ არა მოსავალი, გადაამწვანებს თუ ამა მინდორს ლორთქო ბალახი! არა, ვალიკოს პირუტყვს არც თივა მოჰკლებია და არც ნამჯა, მაგრამ, თუ ძროხამ მწვანე ბალახი არ მოძოვა, ჯიქანს ვერ გაივსებს.

იხ. მე-6 გვ.

## აღრიცხვა

# კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა

მახსოვს, 1997 წლის 7 მარტს უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო აღრიცხვიანობის პრობლემას. კერძოდ, განაცხადა, რომ „კორუფციის საფუძველი ცუდი აღრიცხვიანობა, ცუდი საბუღალტრო აღრიცხვაა“. უკეთესად ვერ იტყვი. მაგრამ ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო. ეს გამგონი კი დღემდე არ ჩანს. ქვეყანაში თითქმის ყველა სფეროში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება (რომელიც თავისთავად მოიცავს ოპერატიულ-ტექნიკურ და სტატისტიკურ აღრიცხვასაც) იმდენად მიშვებულია, რომ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში იგი, უბრალოდ, ქაოსურ მდგომარეობაშია. მარტო დებულებებით და მითითებებით მისი გამოსწორება ვერ ხერხდება.

მიმაჩნია, რომ ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხი პარლამენტის განხილვის საგანი უნდა გახდეს, ან პრეზიდენტის სათანადო ბრძანებულებებით უნდა მოგვარდეს, სადაც მთავარ საკითხად უნდა დაისვას იმ ობიექტის ყოფნა-არყოფნის საკითხი (მიუხედავად საკუთრების ფორმისა), სადაც აღრიცხვა-ანგარიშგება მოუწესრიგებელია, ასეთი ობიექტების არსებობას სახელმწიფოსათვის აზრი არა აქვს. ამიტომ, გარდამავალ პერიოდში მაინც, ობიექტის რეგისტრაციიდან მოხსნის ან უკეთ, მისი ლიკვიდაციის ერთ-ერთ

იხ. მე-6 გვ.



ვალიკო სახლთხუციშვილი (მარცხნივ) და მისი მეგობარი, სატყეოს უფროსი ვანო ებილაშვილი.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

## მეწარმე

(მეხუთე გვერდიდან)

ვალიკოსთან ხელახალი სტუმრობა იმიტომაც მაინტერესებდა, ერთხელ კიდევ დავრწმუნებულიყავი ყოფილი მშენებლის გადაწყვეტილების სისწორეში. სისწორეში კი არა, უფრო – ნებისყოფაში, თორემ, თავიდანვე სწორი გეზი რომ აიღო, ეს ისედაც ნათელია: მშენებელმა კაცმა, რაკიღა ასპარეზი ხელში შემოადნა, ფერმერობა იკისრა. ეს არც ისე იოლი საქმეა. ამიტომაც მინდოდა დარწმუნება, რომ მოთმინების ძაფი არ გაუწყდა, ისევ შეუპოვრად ეწევა მძიმე ჭაპანს, რათა ქვეყანასაც არგოს და ოჯახსაც.

ჩავთვალოთ, რომ ისევ უხიფათოდ დავძლიეთ გრძელი გზა და ქოფაკებმაც არაფერი დაგვიშავეს. „დელეგაციაში“ (დავარქვათ ასე!) ჩემს გარდა უშანგ სახლთხუციშვილი და ტელევიზიის მუშაკები – ვალერიან ჩეკურიშვილი, დარეჯან ფხოველიშვილი და ზაურ კვეზერელი „შედიოდნენ“. მივდივართ და ვათვალიერებთ ვალიკოს საუფლოს – მშვენიერ ბაღსა და პატრონის ხელით გადამუშავებულ საკმაოდ დიდ მინდორს. ბორცვის თავზე, სადაც ვალიკოს პატარა ქოხისა და პურის საცხობის ჩადგმა აქვს დაგეგმილი („ახლო-მახლო ბევრი ფერმერია, პური ხომ სჭირდებათ!“), უკვე აუტანია საშენებლო ბლოკი, ხოლო გარშემო კაკალი და თხილი დაურგავს. სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ბოსტანს ვაზი აქვს შემორიგებული. ოთხი წლის შემდეგ უთუოდ აქაური ღვინით გაგიმასპინძლდებითო, – გვპირდება.

მაგრამ სახლთხუციშვილს ჩვენთან შეაგვიანდა. მწყემსებმა გვითხრეს, ორი ძროხა მშობიარობს და ბოსელშიაო. უშანგი ბიძაშვილზე ათას საინტერესო ამბავს გვიყვება, ჩემზე უფროსი იყო, ლამაზი, მხრებში გაშლილი, კარგად ჭიდაობდა და გოგოებს თვალებს უყენებდა, ბიჭებიც ვაღმერთებდითო. ჭიდაობით კი, თურმე, მართლა კარგად ჭიდაობდა და ბევრი ცნობილი ფალავანიც გაულახავს. ორმოცდაათიან წლებში რაღაც უტკენია და სპორტს ჩამოშორდა, თუმცა, მისდამი სიყვარული დღემდე არ განელებია.

ბოლოს გამოჩნდა ჩვენი ვალიკო, ჩვენი „ფანტომასი“, ისევ ისეთი ახოვანი, ისევ ისეთი ხალისიანი. უშანგს, ვალერიანსა და მე ხომ გვიცნობს და გვიცნობს, დარეჯანსა და ზაურსაც ძველი მეგობარივით თბილად მოიკითხავს. მერე მასთან ერთად მივდივართ ბოსელში, რათა მშობიარეები მოვინახულოთ. და, პოი, საოცრებავ! ერთი საფურე უკვე მოვლენია ქვეყნიერებას, წევს მისავათებული დედის წინ, ტანზე ოხშივარი ასდის, დედა მზრუნველად და გულმოდგინედ ლოკავს, თან ისე გულმოდგინედ, რომ არც ერთი ადგილი არ გამორჩეს. რაც მალე შეამშრალებს, ახალშობილი მით მალე წამოხტება ფეხზე.

– მოდი, დღევანდელი დღისა და, ჩვენი აქ ყოფნის სახსოვრად ფშაური სახელი – „ფურთუმატე“ დავარქვათ, – სთავაზობს ვალერიანი.

– დავარქვათ! – ეთანხმება ვალიკო.

თუ ვალერიანის გუმანს ვენდობით, ამ სახელის მიხედვით ვალიკოს ნახირს ფურები უნდა შეემატოს და შეემატოს! ესე იგი, ხვავი და ბარაქა გამრავლდეს.

ბარემ აქვე დავძენ, რომ ძირით, სისხლითა და ხორცით ფშაველს, მწერალსა და ჟურნალისტს ვალერიან ჩეკურიშვილს ალღომ არ უმტყუნა: იმავე დღეს საღამოს, ვიდრე ჩვენ სუფრას ვუსხედით და აზერბაიჯანელი შაირამას მომზადებულ ჩაქაფულს შევექცეოდით, მახარობელმა კარი შემოხსნა.

– მეორეც დაიბადა, მეორეც საფურე დაიბადა!

იქნებ ცოტა ზედმეტად მოძალებული გრძნობითაც, ყველანი ფეხზე წამოვდექით და ერთხმად შევსვით სიცოცხლის სადღეგრძელო, სიცოცხლისა, რომელიც იმ დღეს „ფურთუმატესა“ და იმის მომდევნო დობილის დაბადებაში გამთლიანდა.

– ორი კვირაა, არა მძინებია, – გამოტყდა ვალიკო. – ამათ ვდარაჯობდი, ემანდ არ გაუჭირდეთ, ან დედა არ დამიზარალდეს, ან შვილი-მეთქი.

ვიდრე ეს სტრიქონები იწერება, ალბათ, კიდევ რამდენიმე სულით გაიზრდებოდა ვალიკოს ჯოგი. ღმერთმა უმრავლოს, გამრჯე და ხელბარაქიანი კაცისათვის ყველა სიკეთე ალალია!

გამახსენდა, შარშან ერთმა ამერიკელმა რომ უთხრა, სანამ 200 ფურს არ იყოლიებ, არა სთქვა, ფერმერი ვარო.

– რა ჰქენი, გაითვალისწინე იმის რჩევა? – ვეკითხები ვალიკოს.

– ეგ არც ისე იოლი საქმეა. მაგას დიდი საშუალებები სჭირდება, მე კი ყველაფერს ჩემი ხელით ვაკეთებ. სახელმწიფოსაგან ერთი გროში არ მისესხნია. 200 ფური რომ ვიყოლიო, საკვებიც უნდა მქონდეს და კაი გაჭიმული ფერმაც. მაგის წელი ჯერ არ მომდევს...

ვალიკომ არც ის დამალა, ქატო რომ ქატოს არა ჰგავს და კომბინირებული საკვები – კომბინირებულ საკვებს. „ჩვენც ვტყუვდებით და საქონელსაც ვატყუებთ“. ისიც კი გაიხსენა, მეზობლებს როგორ დაეხოცათ ღორები, რადგან რეალიზატორებს საკვებში მარილი შეერიათ...

– იქნებ გვიშუამდგომლოთ და ლოჭინის ლუდის ქარხნიდან ნარჩენები მოგვყიდონ? უნდათ, ფულს გადავუხდი, უნდათ – რძეს, ყველსა და ხორცს. ეგ რომ მომიხერხოთ, წველადობაც გაიზრდება.

– ჩემო ვალიკო, თოფაძე ძნელად მოსახელთებელი კაცია... ერთ დროს დამპირდა, ქართველ მეწარმეთა ნებისმიერ შეკრებაზე პირველი სტუმარი იქნებიო. იმის შემდეგ ორი წელი გავიდა. ტყეში გასული ფირალივით ვეძებ და თოფაძეს ვერსად ვპოულობ. აღარც ის ასაკი მაქვს, ჟურნალისტებში მიღებული „ხერხი“ ვიხმარო და რესპონდენტთან ფანჯრიდან გადავძვრე. თუ მოხდა სასწაული და თოფაძე მოვიხელთე, შენს დანაბარებს უთუოდ გადავცემ, – დავპირდი.

ისე ყველა ნატვრა აგიხდეთ, მე ეს სურვილი ამიხდა: მეორე თუ მესამე დღეს ჟურნალისტთა ფედერაციაში თოფაძესთან შეხვედრა იყო დანიშნული. მეც წავედი, რათა, სხვა რომ არა იყოს-რა, ვალიკო სახლთხუციშვილის თხოვნა გადამეცა. ახლა ყველას გასაგონად ამას ვეუბნები ჩვენს ვალიკოს: მიბრძანდით გოგი თოფაძის მოადგილესთან, სოსო ჩხიკვიშვილთან, დაუდეთ ხელშეკრულება და რამდენიც გნებავთ, იმდენი ნარჩენი წაიღეთ ტონა 10 ლარად. საფასური, გნებავთ, ხორციით გადაიხადეთ, გნებავთ – ყველით. როგორც ბატონმა გოგიმ ბრძანა, მის მუშებს ერთიც სჭირდებათ და მეორეც.

რაკი თოფაძესთან ურთიერთობის საკითხიც მოვუგვარე, ისევ ვალიკოს მინდა მივუბრუნდე: ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვს. იმ ჩანაფიქრის შესრულებას საკუთარი მარჯვენისა და ოჯახის დახმარებით აპირებს. ერთი „საიდუმლოც“ გაგვიმხილა: შვილიშვილები გაუთხოვ-დაუქორწილებია. ბიჭმა ზურაბ ითაშვილმა, სალომე ლოლაძე მოიყვანა, ძმას „ვალში“ არ დაერჩეო და თამრიკო კახა ქველიაშვილზე გათხოვილა. ვალიკოს მეუღლე, ქალბატონი დარეჯანი, ჩვენი სტუმრობისას სიძისათვის დაბადების დღის მისალოცად იყო წასული.

გამრავლდეს და გაიხაროს შენმა განაგისმა, ვალიკო სახლთხუციშვილო! აკი ერთხელ კიდევ დაამტკიცე, მონდომება რომ საქმის თავიდათავია და მარტო გულზე ხელის ბრაგუნს არავინ გაუძლიერებია – არც ქვეყანა და არც ოჯახი. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივუახლოვდეთ საწადელ მიზანს, ადამიანური ცხოვრება რომ ჰქვია, თორემ, მარტო სხვისი იმედით ჩემი მტერი იყოს. აკი ნათქვამიც არის, ყველამ თავის მამიდას უნდა მიხედოსო. დღეს ჩვენი „მამიდა“ ის საქმეა, რომლის კეთებაც გვევალება.

შენ კი შენს საქმეს „ხუთიანზე“ აკეთებ და ამისთვისაც მადლობას გიძღვნით!

**ელგუჯა ლებანიძე.**

# „ფანტომასი,“ „ფურთუმატე“ და სხვები

## კავშირგაბმულობა

# „მეგაკომის“ ქსელი ფართოვდება




საქართველოში პირველმა ფიჭურმა კავშირგაბმულობის კომპანია „მეგაკომმა“ რამდენიმე თვეა ფართო საზოგადოებრიობას ამცნო თბილისსა და მის შემოგარენში მომსახურებისა და დაფარვის ზონის გაფართოების შესახებ.

ქართულ-ამერიკულმა კომპანია „მეგაკომმა“ მოსახლეობის მომსახურება ახალი სადგურის „ნორტელის“ გამოყენებით დაიწყო, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს ორმოცი ათასამდე აბონენტს მოემსახუროს, მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებითი საბაზო სადგურები დამონტაჟდა რუსთავში, თბილისსა და მის ახლომახლო ტერიტორიაზე. როგორც „მეგაკომის“ გენერალურმა მენეჯერმა მამუკა ლობჟანიძემ გვითხრა: მათი მომსახურება საუკეთესოა საქართველოში, ყოველი დამონტაჟებული საბაზო სადგურის კონფიგურაცია გათვლილია აუცილებელზე მნიშვნელოვნად მეტ შესაძლებლობებზე, ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ მოქალაქეთა მოთხოვნილებები ამ მიმართულებით სრულად დააკმაყოფილონ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ზონების გასაფართოებლად „მეგაკომმა“ შეიძინა დამატებითი მოწყობილობები, რომლებითაც კიდევ 80 საბაზო სადგურს დაამონტაჟებენ. ერთი სადგური გათვლილია 25 000 აბონენტზე, რომელიც დასავლეთ საქართველოში დაიდგმება.

ასე რომ, „მეგაკომი“ პირნათლად ასრულებს აბონენტების წინაშე აღებულ ვალდებულებებს, რაც გამოიხატება მომსახურების მაღალ ხარისხში, იგი გამოირჩევა კომფორტით, მუდმივი და გარანტირებული კავშირით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მეგაკომმა“ დაფარვის ზონის გაფართოებასთან დაკავშირებით საინტერესო სიურპრიზი მოუმზადა თავის მომხმარებელს, პირველ 1000 აბონენტს უფასოდ გადასცა ფიჭური ტელეფონი. ამასთან, „მეგაკომი“ ერთგულია თავისი დანაპირების და ყველაზე ხელსაყრელ და კონკურენტუნარიან ფასებს აცხადებს საქართველოში. ეს კომპანია არის „ასოციაცია-800-ის“ წევრი, რომელიც აერთიანებს **AMPS** სტანდარტით მომუშავე ფიჭური კავშირგაბმულობის უმსხვილეს ოპერატორებს დსთ-ში. „მეგაკომს“ შეუძლია აბონენტებს რომინგული მომსახურება შესთავაზოს დსთ-ს 400-მდე ქალაქში და 75 ქვეყანაში.

„მეგაკომი“ არის ერთადერთი ოპერატორი, რომელიც აბონენტებს სთავაზობს ოცდაოთხსაათიან უფასო საინფორმაციო და სამედიცინო სპეცმომსახურებას, ასევე უფასო იურიდიულ კონსულტაციებს, სამაშველო სამსახურს და პროდუქტების შეკვეთას.

ბატონმა მამუკა ლობჟანიძემ ხაზი გაუსვა, რომ დაფარვის ზონის გაფართოება და ფასდაკლება „მეგაკომის“ საუკეთესო სერვისისა და ყველაზე მაღალი ხარისხის ფიჭური კავშირის უზრუნველყოფის ტრადიციების გაგრძელებაა.

წლეულს „მეგაკომის“ ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდება. ამ კომპანიას კონკურენტებთან შედარებით სწრაფად დაკავშირების ექვსნიშნა ნომერი აქვს. კოდების არარსებობისა და სმენადობის ხარისხის თვალსაზრისით მას დიდი უპირატესობა გააჩნია.

**ლალი ძინძლაძე.**

## აღრიცხვა

# კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა

(მეხუთე გვერდიდან)

მთავარ მიზეზად აღრიცხვის მოუწესრიგებლობა-ჩაშლა უნდა ჩაითვალოს. მოთხოვნა მკაცრია, მაგრამ დროით არის ნაკარნახევი.

თუ ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას შევძლებთ, -ეს იქნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის არა მარტო დასაწყისი, არამედ მისთვის ლახვარის ჩაცემაც. გვექნება სრულქმნილი აღრიცხვა? – გვექნება შევსებული ბიუჯეტი!

აქვე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა გადაგზავნილი საქონლის (ფასეულობის) თაობაზე.

იყო პერიოდი, როცა საქართველომ თავს მოიხვია განვითარებადი ქვეყნისთვის მიუღწეველი პირობა – ფასეულობა გადაგზავნისთანავე ითვლებოდა რეალიზებულად და გადამგზავნი ვალდებული იყო ანგარიში გაესწორებინა ბიუჯეტთან და სხვებთან. ამან გამოიწვია ის, რომ სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობამ ვერ შეძლო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება. მიყენებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ბევრ საწარმოში პირვანდელ თანხას გადააჭარბა და ისედაც მძიმე ფინანსური მდგომარეობა უფრო გაუსაძლისი გახადა.

მართალია, დღეს მოქმედი კანონით ფასეულობა გადაგზავნიდან 90 დღის შემდეგ ითვლება რეალიზებულად, მაგრამ არც ამას აქვს გამართლება. ფასეულობა რეალიზებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიშზე მისი ღირებულების ჩარიცხვის შემდეგ.

პრეზიდენტს ვურჩევდი, მოიცილოს ყველა ის მრჩეველი, რომელიც პირად ინტერესებს ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებს, ვინც თავის გამოჩენის ან საქმის უცოდინრობის გამო არასწორ რჩევას აძლევს.

სასურველია, კანონი შეიმუშაოს პარლამენტმა და არა იმან, ვინც უნდა შეასრულოს იგი, რადგან შემსრულებლის მიერ შემუშავებული კანონი არ არის დაზღვეული მიკერძოებისა და ცდომილებისაგან. ეს ეხება ყველას, განსაკუთრებით კი ქონების მართვის სამინისტროს, საგადასახადო ინსპექციას, საბაჟო სამსახურს და სხვა.

თავად ქვეყნის მეთაური მრეწველობის მიმართ კეთილგანწყობილია, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერხა იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებმაც მათ მიერვე შექმნილი ან სხვა დადგენილებებით გადაინაწილეს მრეწველობის ლვიძლი ფუნქციები და დღემდე ებღაუჭებიან მათ.

ვურჩევდი პრეზიდენტს – მოსთხოვოს ყველა რანგის ხელმძღვანელს აღრიცხვის მოწესრიგება, შეუქმნას მრეწველებს ლეგალური მუშაობის პირობები, მოაცილოს ზედმეტი შემმოწმებლები და მაფიოზები. თუ ეს მოხდება, ქვეყანას სიკეთე და სიუხვე ორმაგად დაუბრუნდება, რაც მთავარია, კორუფციას ეტირება ყოფა.

**ნაპოლეონ არახამია,**
საქართველოს მრეწველობის სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი.

## ღიმილის დოზა




ღღევანდელი ალქიმიკოსი.

ლევან მართაშვილის ნახატი.

სარედაქციო საბჭო:
თემურ ბასილია (საბჭოს თავმჯდომარე), ელგუჯა ლებანიძე, თამაზ მაღლაკელიძე, რუსლან რუსია, ზურაბ ტყემალაძე, ნოდარ ჟითანავა, ოთარ ხუციშვილი (რედაქტორი), ვახტანგ გელაშვილი (ტექნიკური რედაქტორი).

## ევრიკა!

# მკვდარი ღმერთების გაღვიძება 30 საუკუნის შემდეგ...

## სენსაციური აღმოჩენები ქართველოლოგია-ეტრუსკოლოგიაში

### 1. თინი კოლხურსა და ეტრუსკულში

არის ჟამი მითთა თხზვისა და ჟამი მითების გაშიფვრისა. არც ერთია მარტივი და არც მეორე.

ქართული ცნობიერების მითოლოგიური სათავე კვლავაც სერიოზულ შესწავლას მოითხოვს.

ძველ ეტრუსკულ მითოლოგიასა და საკრალურ პანთეონში „თინი" არის უზენაესი ღმერთი: ის არის ეტრუსკების ზევსი, გინა იუპიტერი.

„თინი" წარმოშობით ლიდიელ ეტრუსკთა თავღმერთია. ამას წინათ ვიყავი თურქეთში, ლიდიის ნანგრევებზე და იქ დავწერე ეს ესეი. კოლხთა მეზობელი და მონათესავე ტომები ცხოვრობდნენ ანტიკურ ლიდიაში. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა უძველესი და ულამაზესი ქვეყანა ლიდია (ისტორიული ეტრურკეთი). ეტრუსკულ და კოლხურ (ქართველურ) ენათა და კულტურათა ნათესაობა აშკარაა.

ამას ადასტურებს თუნდაც აკად. ილია ვეკუას მეცენატობით აკად. რისმაგ გორდეზიანის მიერ შექმნილი ბრწყინვალე მეცნიერული ნაშრომი „ეტრუსკული და ქართველური".

ეს დიდებული ენათმეცნიერული მტუდიაა.

მე კი ამ წერილში მოგითხრობთ საკუთარ სენსაციურ აღმოჩენებზე, რომლებიც ეტრუსკულ და კოლხურ (ქართველურ) თეოგონიასა და მითოლოგიას განეკუთვნება. ეს არის ჩემი ქართველოლოგიურ-ეტრუსკოლოგიური აღმოჩენების სერია.

„თინი" კოლხურად „კეთილს" ნიშნავს, „თინი+ში დუდი" – „სიკეთის თავს", „თინი+ლი" „სწორს" „მართალს" და ა. შ. ... ეს დასტურდება დღევანდელ ლაზურ და კოლხურ ცოცხალ მეტყველებაში ფოთში, ზუგდიდში, ტრაპეზუნდშიც და რიზეშიც. ჭოროხს გაღმა და გამოღმა. ეს აღნიშნული აქვს აკად. ნ. მარს სანკტ-პეტერბურგულ „ჭანური ენის გრამატიკაში" და აკად. ჟ. დიუმიზელს თავის პარიზულ „ლაზურ ენაში".

„სიკეთე" და „სისწორე", „სიმართლე" ღმერთის ატრიბუტებია. ნ. მარი და ჟ. დიუმიზელი ეტრუსკულ ღმერთ „თინს" არ იცნობენ. ეს ღმერთი მე აღმოვაჩინე.

სწორედ „თინი" არის უძველესი წარმართული კოლხური პანთეონის „თავღმერთი" – „დუდო+ღორონთი".

აი, ეს „თინი" არის ეტრუსკული პანთეონის „თავღმერთიც".

ეტრუსკული ღმერთი „თინი" მე აღმოვაჩინე მსოფლიო ეტრუსკულ ლიტერატურაში და მე დავაკავშირე ის კოლხურ (ქართველურ) ღმერთ „თინს".

აი, ეს არის ჩემი პირველი ეტრუსკოლოგიურ – ქართველოლოგიური აღმოჩენა.

ქართველურ (კოლხურ) თაღმერთ თინზე მეტად მწირი მონაცემები არსებობს. ამიტომ კოლხური (ქართველური) „თინი"-ს რესტავრაციას: ინტერპრეტაციას და ჰერმენევტირებას მე ეტრუსკულ და კოლხურ (ქართველურ) ენებზე და ეტრუსკულ და ქართველურ (კოლხურ) კულტურებზე დაყრდნობით ვახდენ.

როგორ ჰყავდათ წარმოდგენილი თავღმერთი „თინი" ეტრუსკებს, რომლებიც პრეისტორიული ლიდიისა და კოლხეთის არეალიდან გადასახლდნენ მედიტერანულ სამყარომში, დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ რომის დაარსებამდე?

ამის შესახებ დაწვრილებით მოგითხრობთ ჩემს წიგნში „ეტრუსკოლოგიის ქართველური მითოლოგიური საფუძვლები".

ეტრუსკებს და კოლხებს (ქართველებს) საერთო ფუძე აქვთ წინა აზიაში: შავი ზღვისპირეთში. სიტყვებიც საერთო აქვთ და საერთო ღმერთები ჰყავთ.

ამის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი საქართველოს ისტორიასა და ქართულ მითოლოგიაში. ამ თვალსაზრისით მე ყამირის პირველი გამტეხი მწერალი-მითოლოგი და მწერალი-ეტრუსკოლოგი აღმოვჩნდი.

### 2. თინი და ლა+თინი

ეტრუსკულ-კოლხური ღმერთი „თინი" ევროპულ მითოლოგიაში გაიგივებულია დიდ ღმერთებთან იუპიტერთან და ზევსთან, ის მათი ეტრუსკული ორეულია.

მე ჩემს სხვა გამოკვლევებში („საქართველო – ღვთისმშობლის ქვეყანა" და სხვ.) დავადგინე, რომ ღმერთ იუპიტერის დედაა – კოლხეთის მეფის აიეტის ღვიძლი და – მზის ღმერთის ჰელიოსის ასული კირკე.

საინტერესოა დედით ქართველი იუპიტერის გენეალოგია. კირკე შობს ლათინს, რომელიც ლათინი ხალხის ეპონიმია, მამამთავარია და ლათინთა პირველი მეფეა. გარდაცვალების შემდეგ მეფე ლათინი ღმერთ იუპიტერად იქნა გამოცხადებული. მაშ, ასე: კირკე – ლათინი – იუპიტერი! მათი ურთიერთმიმართება მე აღმოვაჩინე.

მე აღმოვაჩინე ისიც, რომ სიტყვა „ლა+თინს" ფუძედ ღმერთ „თინი"-ს სახელი უდევს. კოლხთა მონათესავე ეტრუსკები იტალიაში ჯერ კიდევ რომის დაარსებამდე გადასახლდნენ წინა აზიიდან, შავი ზღვის სანაპიროდან.

### 3. თინი და თინათინი, თინა და ათინა

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟის თინათინის (თინა+თინის) სახელიც, ჩემი ჰიპოთეზის თანახმად, წარმოშობით უკავშირდება ღმერთ „თინს".

ქალის სახელი „თინა"(რომელიც ღმერთ „თინის" სახელიდან მოდის) მეტად გავრცელებული სახელია საქართველოშიც და ევროპაშიც, მაგრამ ევროპამ დღემდე არ იცის, რომ კოლხურ-ეტრუსკულ ფუძესთან აქვს საქმე.

ქალღმერთ ათინას სახელიც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს თინი-თინას ლინგვისტურ სამყაროს.

### 4. თინი-ბონი-Bonus

კოლხურ-ეტრუსკულ თავღმერთ „თინის" მეორე სახელია „ბონ". („ბონი"). ქართველურში „თინი" და „ბონი" ერთმანეთის სინონიმებია. ეტრუსკულისა და ქართველურის ეს თანხვედრა მე აღმოვაჩინე (თინი-ბონი-**Bonus**). ქართველურად და ეტრუსკულად „თინი" ნიშნავს „სწორი", „ბონი"-ც ნიშნავს „სწორს".

ღმერთ „თინის" მეორე სახელი „ბონ" დღეს მთელ მსოფლიოშია გავრცელებული („ბონ ჟურ", „ბონ ჯორნო" „ბონა სერა", („ბუენა სერა"), „ბუენოს აირეს", „ბუენოს დიას", „ბონ აპეტიტ", „ბონაყვა" და ა. შ.). ეს ლინგვისტური გენეტიკური კავშირებიც მე დავადგინე. ეს სასწაულს ჰგავს, მაგრამ რეალობაა.

### 5. ეტრუსკოლოგიურ-ქართველოლოგიურ-შუმეროლოგიური აღმოჩენა

თავღმერთ „თინის" მეუღლეს – ეტრუსკულში „უნ"-ი ეწოდება. მიაჩნიათ, რომ „უნ"-იდან წარმოიშვა იუპიტერის მეუღლის „იუნონას", სახელი.

მე აღმოვაჩინე ქალღმერთ „უნ"-ის კვალი კოლხურში, ძველ ქართველურში.

კერძოდ, მუსიკალურ რეფრენში. ო, დელია, უნ-ნანა! („უნანა").

„დელია" ღმერთ აპოლონის კუნძული „დელოსია". იქ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა „დელიები" – ღმერთ აპოლონისადმი მიძღვნილი მუსიკალური საკულტო ფესტივალები. ეტყობა, უძველესი კოლხები იმ დელიებში იღებდნენ მონაწილეობას. აქედან გაჩნდა რეფრენი „ო, დელია". („დელია" ღმერთ აპოლონის ერთ-ერთი სახელიცაა!).

რეფრენში „ო, დელია უნ-ნანა" – ერთმანეთს ხვდება ძველი პელაზგურ-კოლხურ-ელინურ-აპოლონური სამყარო და უძველესი შუმერულ-აქადურ-კოლხური სამყარო (უნ+ნანა"). ეს ჩემი აღმოჩენაა.

ქალღმერთი „უნ" ღმერთ თინის მეუღლეა, მაგრამ „ნანა" (შდრ. ქართველური „იავ-ნანა", „ნანა", „ნანაია ნანა" და სხვა). უკავშირდება შუმერულ-აქადურ მთვარის ღვთაებას „ნანას".

(„ინანა", „ნანა", „უნანა" და სხვ). ესეც უნ+ნანას არსი" მე გავშიფრე.

იქნებ უძველეს ეტრუსკულ და კოლხურ სამყაროებში „უნ" მთვარის ღვთაების ფუნქციას ასრულებდა?! ამის საფუძველს ის გვაძლევს, რომ კოლხურ რეფრენში კომპოზიტი „უნ+ნანა" თითქმის ერთ სიტყვად არის წარმოსახული და კომპოზიტის ნაწილებს შორის ზღვარი თითქოს წაშლილია.

მაგრამ ეს მაინც ჰიპოთეზაა.

მთავარი კი ის არის, რომ ეტრუსკული „უნ" მე კოლხურშიც, ძველ ქართველურშიც აღმოვაჩინე.

### 6. ღმერთი ტაგუ და მისი 15 საკრალური ტომი

ეტრუსკულში ღმერთ თინის ძე არის ღმერთი „ტაგუ". ღმერთ ტაგუს შესახებ საქართველოში პირველად მე ვწერ.

„ტაგუ" ოდითგანვე მეტად გავრცელებული ძველი კოლხური, ძველი ქართველური სახელია.

გავიხსენოთ თუნდაც დიდოსტატის პროზის პერსონაჟი ტაგუ, ცნობილი პოეტის მებურიშვილის სახელი – ტაგუ...

ათასი ტაგუ შეგხვდებათ ისიდორე დოლიძის „ძველი ქართული სამართლის ძეგლებში".

ეტყობა, უძველესი საქართველო, კოლხეთი იცნობდა ღმერთ ტაგუს. ამ ფაქტის ანარეკლია ამ საღვთო სახელის ასეთი გავრცელება საქართველოში. („ტაგუ-ალი" სიარულის ერთგვარი მანერის აღმნიშვნელი სიტყვაა ძველ კოლხურ (ქართველურ) ლექსიკაში).

ესპანეთის მდინარე „ტეჟუს" სახელი „ტაგუ"-დან, მოდის. ის ღმერთ ტაგუს მდინარეა. ამ აღმოჩენას კი არა მხოლოდ ეტრუსკოლოგიური, არამედ იბერიოგიური ეფექტიც ახლავს.

ღმერთ ტაგუს მიეწერება ეტრუსკული რელიგიის კანონების, რიტუალების, ტრადიციების 15 წმინდა წიგნის ავტორობა.

ქართულად მე ვწერ პირველად ამის შესახებ.

საჭიროა ტაგუს წიგნების შესწავლა. ისინი ბევრ რამეს გვამცნობენ ქართველთა (კოლხთა) უძველესი ფესვების შესახებ.

ამ საკითხზე მე უკვე ვწერ ვრცელ გამოკვლევას.

### 7. ქალღმერთი ლაზი (ლაზა)

ეტრუსკულ რელიგიაში ლაზი (ლაზა) ერქვათ ოჯახის, კერიის, გვარის, თემის მფარველ ღვთაებებს. „ლაზი" და „ლაზა" (ლაზი) ერთმანეთის იდენტური სიტყვებია და ისინი მიგვანიშნებენ ეტრუსკულ და ლაზურ (ქართველურ) ენათა, პანთეონთა და კულტურათა ნათესაობაზე და შეიძლება, გარკვეული თვალსაზრისით, იდენტურობაზეც კი.

* * *

ღმერთების თინის, ბონის, ტაგუს, უნის, ლაზის ეტრურიას განეკუთვნება იტალიის ტოსკანა, გენიალური ტოსკანინი, ოპერა „ტოსკა", ციცერონის ტუსკულანი და ა. შ.

ცნობილი ქართველი მუსიკისმცოდნის იონა ტუსკიას გვარი – ტუსკია ეთნონიმ ეტრუსკი-დან მოდის...

### 8. კოლხურ-იბერიული სახელები ჰქვიათ ლათინურ ამერიკას და იბერიულ ამერიკას

აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ სამხრეთ ამერიკის ორივე სახელი „ლათინური ამერიკა" და „იბერიული ამერიკა" – ორივე უკავშირდება „ქართველურ-ეტრუსკულ ლინგვისტურ სამყაროს: „ლათინური ამერიკა" – კოლხეთის მეფის აიეტის დის კირკეს ძის – **ლათინის** სახელს, ხოლო თვითონ **ლათინი** მომდინარეობს კოლხურ-ეტრუსკული ღმერთის „თინის" სახელიდან („ლა+თინი"). სახელწოდება „იბერიული ამერიკა" კი უკავშირდება პირენეისა და საქართველოს უძველეს სახელდებას – იბერია.

ეს ჭეშმარიტებაა, ბატონებო! სჯობს გაოცდეთ, ვიდრე დაეჭვდეთ! მით უმეტეს, რომ გაოცებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არისტოტელე...

### 9. ცხოვრების ტექსტი და იეროგლიფი

ყველაზე უღიმღამო არეც სასწაულებითაა აღსავსე. თითქოს ნაცნობი სიტყვაა, მაგრამ სულში რომ ჩახედავ, – იეროგლიფი აღმოჩნდება.

ასეთი იეროგლიფების გაშიფვრის შედეგად მივიღე ეტრუსკულ-ქართველოლოგიურ აღმოჩენათა მთელი სერია.

მე აქ მხოლოდ რამდენიმე აღმოჩენის შესახებ გიამბეთ.

ამ აღმოჩენებს მთელი წიგნი ვუძღვენი.

მე 30 საუკუნის შემდეგ გავაღვიძე მკვდარი ღმერთები. მართლაც რომ ბუნება ლექსიკონია და ჩვენ სიტყვებს ვეძებთ მასში, რომ ცხოვრების ფილოსოფიური ტექსტი – პალიმფსესტი წავიკითხოთ და გავშიფროთ.

ადამიანები ვართულებთ ცხოვრებას, თორემ ის მეტად მარტივია. ჟან პოლ სარტრმა თქვა: ეს არის „წერა" და „კითხვა".

როგორც ყოველთვის, სწორია ჟან პოლ სარტრი.

მე ამ საკითხებზე ვფიქრობდი რომში, ათენში, მადრიდში, რიო-დე-ჟანეიროში, ბუენოს აირესში, სტამბოლსა თუ ანკარაში...

და ბოლოს აღმოჩენების მთელი სერია იშვა ღვთის წყალობით...

მე დღეს უკვე არ მიკვირს, რომ ღმერთმა გოლგოთაზე, იერუსალიმის გოდების კედელთან ბიბლიის დედნის კოლხური წყაროები აღმომაჩენინა. ის აღმოჩენა ღვთის წყალობით ქრისტეს საფლავთან მოხდა.

მე დღეს ის მიკვირს, რომ ქრისტიანთა ღმერთმა საოცარი აღმოჩენები მიწყალობა მუსლიმანურ თურქეთშიც, უძველეს ეტრუსკთა წინააზიურ მიწაზე – ლიდიის ნანგრევებზე. და ამაში ქრისტეს ვერც ალაჰმა შეუშალა ხელი და ვერც მუჰამედმა.

მე ღვთის წყალობით სრულიად ახალი, დღემდე უცნობი კოლხურ-ეტრუსკული თეოგონიური სამყარო აღმოვაჩინე.

იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი!...

**ლადო ალფენიძე,**
**მწერალი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პრემიების ლაურეატი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.**

**რომი-ათენი-სტამბოლი-ანკარა-თბილისი.**

**სააქციო საზოგადოება „გორკონი"**

იწვევს აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც შედგება ა. წ. 20 აპრილს 12 საათზე ძ. გორში, შინდისის გზატკეცილი 17.

დღის წესრიგი:

1. 1998 წლის წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად.
2. ორგანიზაციული საკითხები.

შენიშვნა: აქციონერების მოთხოვნები დღის წესრიგში შეიტანება საკითხად, თუ ისინი ერთი კვირით ადრე კრების ჩატარებამდე მიმართავენ მეთვალყურეთა საბჭოს განცხადებით.

მეთვალყურეთა საბჭო.

**ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა**

სთხოვს რუბენ ნიკოლოზის ძე ხაჩატუროვის სახლის მემკვიდრეებს (რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ელ. ახვლედიანის (ყოფილი კიბალჩიჩის) აღმ. № 11-ში), გამოცხადდნენ ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში. გამოუცხადებლობის შემთხვევაში სახლი ჩაირიცხება კომუნალურ ფონდში.

სიტუაცია

# „კატეგორიულად არ ვეთანხმები...“

რა არ ხდება ცხოვრებაში. ბატონი ბადრი შოშიტაიშვილი, რომელიც ახლო წარსულში თბილისის მერად მუშაობდა, მახსოვს, თავის სატელევიზიო გამოსვლებში როგორ უტევდა დედაქალაქის ბაზრობებში მოკალათებულ კორუფციას, ახლა კი თვითონ მას დასდეს ბრალი კორუფციაში. სხვა შეფასებას ვერ მივცემთ კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომის შედეგებს, რომელზეც 1991-1992 წლებში თბილისში ცნობილი მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის ბინების განაწილებისას დაშვებული დარღვევების შესახებ იმსჯელეს.

***— შეგიძლიათ თავი იმართლოთ?***

***— ვეკითხები თბილისის ყოფილ მერს, ამჟამად საქართველოს მრეწველობის მინისტრს ბადრი შოშიტაიშვილს, რომელთანაც ამ საკითხთან დაკავშირებით სასაუბროდ მივედი.***

— რაც მართალია მართალია, მძიმე ბრალდება წამომიყენეს. კომისიის აზრი ძირითადად ის არის, რომ მე და ზურაბ ბიბილეიშვილი დანაშაულებრივ კავშირში ვიყავით თბილისელ დაზარალებულებთან და მათთან შეთანხმებით, ზედმეტი ბინის ფართობის გაცემით, ხელს ვითბობდით, სახელმწიფოს კი უდიდეს ზარალს ვაყენებდით. ეს მე მიმაჩნია არა მარტო ჩემს, არამედ თბილისელ დაზარალებულთა, აგრეთვე აღმსრულებელი ხელისუფლების დიდ შეურაცხყოფად. ამ კომისიის ქმედება, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. თვით კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ტოტალიტარიზმითა და სუბიექტივიზმით, განხილულ საკითხებზე წინასწარი თათბირის მოუწვევლად გადაწყვეტილებები, რა მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ისინი, არ გამოჰქონდათ. ახლა კი, დემოკრატიულ ქვეყანაში, როცა საქმე ეხება მინისტრს, მის „უმძიმეს დანაშაულს“, ნუთუ არ შეიძლებოდა წინასწარი შეხვედრა და კომისიის დასკვნის ერთობლივი განხილვა?

***— კომისია, პირიქით, თქვენ გემდურებათ, გამოვიძახეთ, მაგრამ სხდომაზე არ გამოცხადდათ.***

— არ გამოვცხადდი კი არა, ვერ გამოვცხადდი იმის გამო, რომ იმ დღისით თელავში ვიმყოფებოდი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ თუკი მოისურვებდნენ, ჩვენი შეხვედრა შეუძლებელი იყო,

***— ახლა უშუალოდ კონკრეტული ბრალდებების შესახებ. როგორც კომისიის სხდომაზე ითქვა, დღეს 150 დაზარალებული უსახლკაროდაა დარჩენილი და ამ დროს 50 ბინა 48 არადაზარალებულ ოჯახზე გაიცა. როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო?***

— ამ ციფრების თაობაზე ვერაფერს ვიტყვი, უბრალოდ იმის გამო, რომ ჩემი ქალაქის მერად მუშაობის პერიოდში დაზარალებულებზე ბინების განაწილება და ორდერების გაცემა არ მომხდარა. იყო მხოლოდ კერძო შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებული იყო საჩივრებთან და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებთან.

***— რადგან ზემდგომი ახსენეთ, ისინი თუ ერეოდნენ დაზარალებულთათვის ბინების განაწილების პროცესში?***

— აკი გითხარით, ჩემს დროს ასეთი ბინები არ განაწილებულა. თუ საერთოდ გაინტერესებთ, ვიტყვი, რომ ზემდგომთა რეზოლუციისა და დავალების გარეშე არც ერთი ბინის გაცემა არ მომხდარა.

***— კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ დაზარალებულებზე უმეტეს შემთხვევაში ბინები ნაწილდებოდა სანიტარული ნორმების უხეში დარღვევით, ხდებოდა საცხოვრებელი ფართობის ზედმეტად გაცემა, სულადობის უსაფუძვლოდ გაზრდა და ოჯახების არასწორად გაყოფა...***

— ცალკეული დარღვევები შეიძლება მართლაც იყო და იცით რატომ? იმ ტრაგედიის ჟამს ბევრი თბილისელი პერანგისამარა დარჩა, ზოგს შვილები ჰყავდა ჩაუწერავი, ზოგი-ცოლ-ქმარიც გაყრილი აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, ასეთი ბავშვები ქუჩაში უნდა დარჩენილიყვნენ ან გაყრილი ცოლ-ქმრისთვის ბინა ერთ ჭერქვეშ უნდა მიეცათ? საერთოდაც, პროექტიდან გამომდინარე, ბინები ისეთი სიზუსტით როგორ უნდა განაწილებულიყო, რომ ერთი კვადრატული მეტრიც არსად გადაჰყოლოდა?

***— გამოდის, რომ საბინაო კანონმდებლობა ირღვეოდა?***

— გეტყვით. აბსურდად მიმაჩნია 1985 წლის საბინაო კანონმდებლობით იმ მოვლენებისადმი მიდგომა და გაზომვა, რომლებიც იმ წლების ტრაგედიამ გამოიწვია. შექმნილი იყო არაორდინარული სიტუაცია, რომელსაც, ბუნებრივია, ძველი კანონმდებლობა თავს ვერ გაართმევდა. მთავრობა კი დაზარალებულებს ჰპირდებოდა, რომ მათ მოთხოვნებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებდა.

***— და კიდევ. თქვენ გდავებიან, რომ სათანადო კონტროლს არ ახორციელებდით საბინაო კომისიების მუშაობაზე, პირიქით, მათ აძლევდით უკანონო მითითებებს, რითაც ილახებოდა დაზარალებულთა ნაწილის ინტერესები და სახელმწიფო განიცდიდა მატერიალურ ზარალს. დასახელებულია კონკრეტული ციფრიც, — 300 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, — რითაც თქვენ ქვეყანა აზარალეთ.***

— კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ დასკვნას. ქალაქის მერიაში მთელი ჩემი მუშაობის პერიოდში არც ერთი საკითხი თუ პრობლემა არ გადაწყვეტილა დაზარალებულთა საკოორდინაციო საბჭოსთან და თვით დაზარალებულებთან შეუთანხმებლად. თუ რომელიმე საკითხი გარკვეული შეღავათებით გადაწყდა, ყველაფერი ეს შეთანხმებული იყო ზემდგომებთან. ამის თაობაზე არსებობს სათანადო ოქმები და სხვა დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, რეალობას მოკლებულია ის ზარალიც (300 ათასი დოლარი), რომელიც მე ვითომდა სახელმწიფოს მივაყენე.

ყოველივე ამის შემდეგ ვთვლი — ეს არის მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრედიტაციას. ეს ახლა არ დაწყებულა, ამ კომისიამ სხვა დროს ანალოგიური ბრალდებები წაუყენა სხვა მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებსაც. ის მათ ადანაშაულებდა კორუფციასა და სხვა მავნე ქმედებებში, მთავრობას კი დღემდე პასუხი არ გაუცია. ეს მე აღმასრულებელი ხელისუფლების სისუსტედ მიმაჩნია.

***— პირადად თქვენ რას აპირებთ?***

— ამ ბრალდებებს უპასუხოდ არ დავტოვებ. მოვითხოვ, ყველა ფაქტი და დოკუმენტი შეისწავლონ სამართალდამცავმა ორგანოებმა, რათა მტყუან-მართალი გაირკვევს და ქვეყნისა და ხალხისთვის ყველაფერი ნათელი გახდეს.

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი.**

კონტაქტები

# შვიდი ქართველი რადიოლოგის ხუთი მოხსენება

**ამა წლის 7-12 მარტს ავსტრიაში, ქ. ვენაში გაიმართა ევროპის რადიოლოგთა კონგრესი, რომელსაც, ტრადიციულად, ყოველწლიურად მართავს ევროპის რადიოლოგთა ასოციაცია.**

**საყურადღებოა, რომ ეს ასოციაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ავტორიტეტული ორგანიზაციაა. მისი წევრობა, ცხადია, საპატიოა საქართველოსთვისაც, რომელიც 1995 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის პირველი გახდა ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრი.**

**კონგრესი ყოველთვის წარმომადგენლობითია. წლევანდელ შეკრებაზეც 15000-მდე დელეგატი მონაწილეობდა. 125 სექციაში წარადგინეს 1000-ზე მეტი სასტენდო და ზეპირი მოხსენება.**

**საქართველოს დელეგაციამ, რომელიც 7 წევრისაგან შედგებოდა და რომელსაც ხელმძღვანელობდა სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ფრიდონ თოდუა, კონგრესზე 5 მოხსენება წარადგინა.**

— ევროპის რადიოლოგთა კონგრესი წელს რიგით მე-11 იყო, — განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ფრიდონ თოდუამ, — მე ყოველწლიურად ვესწრები ამ მეყოველწლიურად ვესწრები ამ მესანიშნავ ფორუმს და ყოველთვის აღტაცებული ვრჩები საორგანიზაციო კომიტეტის დახვეწილი მუშაობით, საინტერესო მოხსენებებით, ლექციებით, რომელთაც ცნობილი რადიოლოგები კითხულობენ, მნიშვნელოვანი მოლაპარაკებებითა და შეხვედრებით.

***— რა პრინციპით კომპლექტდება კონგრესზე გასაგზავნი დელეგაცია?***

— უპირველეს ყოვლისა, ორგანიზატორები გვიგზავნიან შეტყობინებას კონგრესის გამართვის შესახებ, შემდეგ კი — მოწვევას მათთვის, ვისი შრომებიც მიღებული იქნება მოხსენებებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ნაშრომი საორგანიზაციო კომიტეტში გადის სკრუპულოზურ შემოწმებას, თუ როგორი ხარისხის და დონის მუშაობაა ჩატარებული. გარდა ამისა, ცხადია, დიდ როლს ასრულებს პირადი კონტაქტები. საქართველო უკვე მეოთხე წელიწადია, ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრია და შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენმა ექიმებმა უკვე მოიპოვეს გარკვეული ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. დავძენ, რომ ახალგაზრდა ქართველმა რადიოლოგებმა, რომლებიც მოხსენებებით იყვნენ მიწვეულნი კონგრესზე, მიიღეს გრანტი, ანუ საორგანიზაციო კომიტეტმა თავის თავზე აიღო მათი ავსტრიაში ყოფნასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

***— თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ საქართველოს დელეგაციისა და მათი მოხსენებების შესახებ.***

— საქართველოდან წარდგენილი ხუთივე ნაშრომი ძალზე საინტერესო და მაღალ დონეზე იყო შესრულებული. (სხვათა შორის, ევროპის ზოგიერთი განვითარებული ქვეყნიდან არც ერთი მოხსენება არ იქნა მიღებული). ნამდვილად სასიხარულოა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ასეთ რთულ პერიოდში შესაძლებელი გახდა მსოფლიო სტანდარტების დონის სამეცნიერო შრომების შესრულება.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის დავით მიმინოშვილის მოხსენება, რომელიც თავის ტვინის პარაზიტული დაავადებების ნეიროვიზუალურ დიაგნოსტიკასა და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის საკითხებს ეძღვნებოდა, ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად აღიარეს.



მაღალი შეფასება მიეცა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის მარიკა რაზმაძის, მეცნიერ-თანამშრომლის გოჩა გეთიასა და ასპირანტ ირაკლი დიასამიძის მოხსენებებსაც.

— ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოში სამედიცინო რადიოლოგიის დონე შეესაბამება საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს.

***— რას გვეტყვით სამედიცინო ტექნიკის გამოფენაზე, რომელიც კონგრესის მსვლელობის პარალელურად გაიმართა?***

— გამოფენები ტრადიციულად იმართება საერთაშორისო კონგრესების დროს. ამჯერადაც გამოფენილი იყო ყველა ცნობილი ფირმის (სიმენსი, ფილიპსი, ტოშიბა, ჯენერალ ელექტრიკს, ნიკომედი...) პროდუქცია. რამდენიმე თვის წინათ გამოფენა გაიმართა ქალაქ ჩიკაგოში, რადიოლოგთა მსოფლიო კონგრესზე და, წარმოიდგინეთ, მიუხედავად ამ მცირე დროისა, ამჯერად კვლავ მრავალი სიახლე იქნა წარმოდგენილი: კიდევ უფრო სრულყოფილი, ზესწრაფი სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფები, მაგნიტურრეზონანსული ტომოგრაფები, ახალი პროგრამული უზრუნველყოფითა და შესაძლებლობებით. სამგანზომილებიანი ულტრაბგერითი აპარატები, დიგიტალური ანგიოგრაფები და მამოგრაფები. დიდი ინტერესი გამოიწვია ნავიგაციის ახალმა სისტემამ, რომლებიც საშუალებას იძლევა თავის ტვინის ნივთიერებაში ზუსტად განისაზღვროს პათოლოგიური კერის ადგილმდებარეობა, რათა, საღი ქსოვილების მაქსიმალური დაზოგვით, შესაძლებელი გახდეს ქირურგიული ჩარევა.

ვფიქრობ, ასეთ ღონისძიებებზე ახალგაზრდა სპეციალისტთა მივლინებას დიდი მნიშვნელობა აქვს: მათ უნდა იცოდნენ, როგორია მედიცინის დონე მსოფლიოში, რისკენ უნდა ისწრაფვოდნენ.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ ვენაში ყოფნისას საქმიანი შეხვედრები და მოლაპარაკებები გქონდათ...***

— დიახ, ავსტრიაში შევხვდით მსოფლიოში ცნობილი ფირმების წარმომადგენლებს, გვქონდა მოლაპარაკებები ახალი აპარატურის მიძენის თაობაზე, თანამშრომლობის პერსპექტივებზე. შევხვდით კონგრესის პრეზიდენტს პროფესორ რობერტო პასარიელოს, რომელთანაც განვიხილეთ ევროპის ქვეყნების სამეცნიერო და პრაქტიკული თანამშრომლობის პრობლემები. ყურადღება დაეთმო საქართველოს ინტეგრაციას ევროპის თანამეგობრობაში. ევროპის რადიოლოგთა ასოციაციამ საშუალება მოგვცა ყოველწლიურად 10 ქართველმა რადიოლოგმა უფასოდ გაიაროს სტაჟირება და სწავლების კურსები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წამყვან კლინიკებში.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო საერთაშორისო სამედიცინო საინფორმაციო სისტემებში მონაწილეობის პერსპექტივები, რაც გულისხმობს საერთაშორისო კონსილიუმებში მონაწილეობას. საერთოდ, დიდი ადგილი დაეთმო ტელემედიცინას, დაიდო ხელშეკრულებები ევროპის კლინიკების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის შესახებ. დღეს უკვე ჩვენს ინსტიტუტში არსებული ტელემედიცინის სისტემის წყალობით, პაციენტებს შეუძლიათ კონსულტაციების მიღება მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტებთან, როგორც დიაგნოზის დაზუსტების, ასევე მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვისაც. მართალია, ტელემედიცინა ჩვენს ინსტიტუტში უკვე თითქმის ერთი წელიწადია ფუნქციონირებს, მაგრამ ამ კონგრესზე გამართულმა მოლაპარაკებებმა შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეფართოვებინა საინფორმაციო ქსელი.

დაბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ამგვარ შეხვედრებში მონაწილეობა მნიშვნელოვანი ფაქტია არა მარტო მედიცინის თანამედროვე დონის გაცნობის, არამედ პირადი კონტაქტების დამყარების თვალსაზრისითაც.

ესაუბრა
**ნანული ბარათაშვილი.**

**ყურადღება, კონკურსი!**

ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ყოველმხრივი ხელშეწყობისთვის, თავისუფალი, სოციალურად ორიენტირებული მასმედიის განვითარებისთვის და ორივე სქესის, ყველა რასის, ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენლებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, ამასთანავე ყველაზე ნიჭიერი ახალბედა ჟურნალისტების გამოვლენისა და მაქსიმალური მხარდაჭერის მიზნით რუსულენოვანი ჟურნალისტების საერთაშორისო ასოციაცია აცხადებს კონკურსს „პრესა-XXI საუკუნე“.

მისი ეროვნული ტურები ჩატარდება ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში 1999-2000 წლებში. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 25 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებმაც აირჩიეს (ან სურთ აირჩიონ) ჟურნალისტის პროფესია და აპირებენ იმუშაონ დემოკრატიული პრესის იდეალების მიმდევარი მასობრივი ინფორმაციის ამა თუ იმ საშუალებაში. ინდივიდუალური და კოლექტიური განაცხადები მიიღება კონკურსის ეროვნულ ორგკომიტეტში.

საქართველო: 380008, თბილისი-8,
რეზო თაბუკაშვილის ქ. № 27.
ტელ: 93 16 74 99 03 20 (15-17 საათზე, იკითხეთ სერგო ზრანბიშვილი), 8 77 41 31 14 (მობ).

# პოეზია უპირველეს ყოვლისა

ახლახან ცნობილ პოეტს ტაგუ მებურიშვილს პატარა, მაგრამ დიდი ტკივილით აღსავსე წიგნი გამოუცია – აფხაზეთია ეს სატკივარი და სათაურადაც „აფხაზეთი!“ აფხაზეთი !!!“ დაურქმევია.

თვითონვე მითხრა, – ახალ წიგნს რომ ვადგენდი, იმდენი ლექსი „აღმოვაჩინე“ აფხაზეთის თემაზე, ცალკე გადავწყვიტე გამომეცაო, და აი, მისი ქალიშვილის თამარ მებურიშვილის მიერ გაფორმებული ცისფერყდიანი უბის წიგნაკისებური კრებულიც, რომლის რედაქტორი ირმა მებურიშვილია.

... „თურმე მთელი ამ ხნის მანძილზე ჩემი უპირველესი და უმთავრესი საფიქრალ-სატკივარიც აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია ყოფილა, გზადაგზა ცრემლად რომ გასწვეთდა ჩემს სულს და ამ კრებულში წარმოდგენილ პოეტურ რკალად იქცა“ – წერს წინათქმაში პოეტი.

ცხადია, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი, ისიც ვერ ეგუება აფხაზეთის დაკარგვას, ისიც განიცდის ლტოლვილთა ვაებას.

„ამნაირი ცეცხლი სულს არ
მოსდებია არც ოდეს,
დამრჩა რამე, არ დამწვოდეს
ან თუ არ დამნაცროდეს?!
დღეს ვერცარა ვერ შემაცდენს...
ერთადერთი, ბებერი —
სამშობლოსთვის სიკვდილია
ჩემი მაცდუნებელი“.

1995 წელს დაწერილი ამ ლექსის სათაურია „მეათედაც წამოვდგები“ და იგი ასე მთავრდება:

## ტკივილი

„რომ მომკერძო აფხაზეთი
კვლავაც ცა მოოქრული, —
მეათედაც წამოვდგები,
დღემდე ცხრაჯერ მოკლული“.

საქართველოს გამთლიანებისაკენ, მტრადქცეული ძმების შერიგებისაკენ მოუწოდებს თანამოძმეთ პოეტი – „ცოცხალმკვდარიც ვიმღერებ „მხედრულსა და „ლილეოსო“ – ამბობს ფიცივით.

„თითქოს მგრძნობიარე დასტაქარს მომაკვდავი ავადმყოფის მაჯა ჩაუბღუჯავს და ფონენდოსკოპით მის გულისცემას აყურადებს. ამ წიგნის ავტორმა კარგად იცის და ესმის, რომ ვიდრემდის აფხაზეთი და სამაჩაბლო – სამშობლოს ეს ორი, მიწყივ მტეხიარე ჭრილობა – საქართველოს არ დაუბრუნდება, ყოველგვარი ქადილი ამაო თავის მოტყუებაა.

ეს ჭრილობა უნდა განიკურნოს, შეხორცდეს, სხვანაირად საქართველოს ფეხზე წამოდგომა და ლაშარის გორზე ლუხუმის შადგომა არ მოხდება.

ასე ფიქრობს კრებულის წინათქმის ავტორი პოეტი ჯანო ჯანელიძე, თავადაც უაფხაზეთოდ, უსახლკაროდ დარჩენილ ქართველთაგანი – ვის ზურგზეც წისქვილის ბორბალიც დატრიალდა და მეტიც!..

„რას ვხედავ დასავსებ თვალებით,
უფალო, შენს სახელს დიდება,
ერთი ძმა სისხლისგან იცლება,
მეორე ალაფით მდიდრდება“.

დიახ, ეს ის ომია, რომელშიც ქართველების სისხლი დალიეს, რომელშიც უმწეო პოეტი ქალი კედელთან მიაყენეს და ავაზაკივით დახვრიტეს, რომელშიც... რომელი ერთი გაიხსენოს კაცმა, რომელი ერთი დაიტიროს...

**ნანა ღვინეფაძე.**

*გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ტაგუ მებურიშვილის წიგნიდან – „აფხაზეთი! აფხაზეთი!!!“.*

## ტაგუ მებურიშვილი

### წინათგრძნობა

ბობოქრობს, ტალღებს ზეცას ახლის
ზღვა მთების ხელას,
მაინც კოჭებზე ვერ მოწვდება
ცხოვრების ღელვას.

აფხაზებს „მტირალს“
ვინ აჩუმებს ვიცი სუ, სუთი,
ვინ ამუმურებს
ქართველების მტრობის მუმუთი!

მრავალ გაგრელში,
ტყვარჩელელში, თავად გალელშიც
ვხედავ აფსუას —
სიმულვილის ბანგით გალეშილს.

ო, ბედისწერავ,
ერთმანეთზე ეს ატოტება
არც ჩვენ და არც მათ
არ გვიქციო მოთქმა-გოდებად!

1986.

### კიდეც ვარ და არც ვარ

გუმისთასთან რა ბიჭები
დაგვიხოცეს ო, რა,
აფხაზეთში კიდევ რამდენს
ჩანთქავს ომის ხახა...
და ისმენენ მათი მვლები
მთა-მთა, გორა-გორა,
საფლავებში ერთად მტრის და
ბედისწერის ხარხარს.

ჩვენი ღმერთიც, ანგელოსიც
ჯვარს სატანამ აცვა
და კივილით ჩამოიღო
ცა სამოთხის ბაღმა...
არც მკვდარი ვარ, არც ცოცხალი,
ვარ კიდეც და არც ვარ,
წყარო დაშრა და ოცნების
ოაზისიც გახმა.

ო, რა დიდი და მრისხანე
ზამთარია, ო, რა
გამყივარი, გამყინავი
ქარი დაქრის ზენა!
შეუმოსავს ცა და მიწა
მამით ურიცხვ ყორანს
და სამშობლოს ლხინს მუცელში
ჩავარდნია ენა.

1993.

### ხამს

რომ აცხადებენ: გარდაიცვალა
მომმე გაგრელი თუ სოხუმელი,
მზარავს, მიდგება თვალწინ ასობით
გაცივებული კერა-დუმელი.

ვუსმენ ამ ცნობებს და სუნთქვა მეკვრის,
თითქოსდა ყელში ბურთი ჩამჩარეს,
კლავს სამოთხიდან გამომევება —
ტყვარჩელელს, გაგრელს,
თუ ოჩამჩირელს.

ეს ავზე ავი განცხადებები
ისე ხშირია და დამზაფვრელი,
რომ აფხაზეთი მართლა არ დარჩეს
დუშმანს ცა-მყარით, ზღვით,
ნავ-აფრებით.

ვიჩქაროთ! ჩვენგან ელიან პასუხს
ამდენი წული და წულის წული...
ხამს ბრძოლის ველზე შეაკვდეთ მომხდურს,
ვიდრე ნატვრაში ამოგვხდეს სული.

1994.

### არ იქნება

გადამკიდე თვისტომების:
ჩემი ძმების, ჩემი დების —
საქართველოვ, დღეში ცხრაჯერ
მიკვდები და მიცოცხლდები.

ღმერთგამწყრალი ჩვენიანი
თუ აღუდგა სამტროდ ჩვენებს,
გადამთიელ მტრების მტრობას,
მოფერებად მოაჩვენებს,

გადარჩენის გზა ერთურთის
მოყვრობაზე გადის ოდენ,
თუ მოგემხრო მომმე, თვლიდე
თითქოს ღმერთი მოგმხრობოდეს.

ერთმანეთის მტრობა ჩვენსავ
თავში თუ არ დავამარცხეთ,
ვერ დავიცავთ ვერც აფხაზეთს,
ვერც შუა ქართლს
და ვერც სამცხეს.

ვიდრე თვისსავ თვალის კლებად
არ ვთვლით მომმის თვალის კლებას,
ჩვენ რო ასე გვწადია, ის
საქართველო არ იქნება.

1998.

### სიხარბე მგლური

**1993 წლის 20 თებერვალს რუსეთის თვითმფრინავების მიერ სოხუმის დაბომბვის გამო.**

წუხელ რუსეთის მხეცობის მომსწრე?
ვთვლი ანგელოსად ყაჩაღს თუ პირატს...
მისი წყალობით სამშობლო ჩემი
მიყვანილია სიკვდილის პირად.

თვისსავ მზაკვრობას დამონებული —
აღარ უმდება, სული და გული,
რუსეთს ვერავინ და ვერაფერი,
თვისი დაღუპავს სიხარბე მგლური.

საქართველოში ავი ყაშყაში
დროა შეწყვიტოს მისმა ბუკებმა,
თორემ იმ ცეცხლში, რომ გააჩაღა
ჩვენთვის,
თვითონვე ჩაიბუგება.

1993.

### არ მომკლა

საკუთარ თავს რომ მირჩევნია,
იცი, ეგ თარი,
მაგრამ დგას ჟამი ახლა მხოლოდ
ხმლის და ბექთარის...

ქუდზე კაცს უხმობს ღორღოტოტო,
დაფი, წინწილა,
ესევა მამულს უთვალავი
გველის წიწილა.

უკვე დაიწყო შურისგებამ
აგრიგალება,
რომ თავს დაატეხეს სამშობლოს მტერს
მუსრის გავლებად.

უუტკბილესი შემრგებია
მხამად ნექტარი,
თუ შევარცხვინო ეგ მახვილი
ან ეგ ბექთარი.

ვარ სამზადისში და ნატვრასაც
გიმხელ ბებერი,
ღმერთო, არ მომკლა,
ძმებთან „მხედრულ“
უმღერებელი.

1994.

### ვაიგმირებს

**აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მოძმეთა სისხლში ხელგასვრილ ოცამდე ქართველს გმირობა მიანიჭა.**

არა რიცხვმრავლობა მტრისა,
არც მისი სიმამაცე,
საქართველოს ომში მუდამ
საქართველო ამარცხებს.

გამჭრიახი მტერი ჩვენზე
გამარჯვების დილემას,
ქართველითა ქართველისა
თრგუნვით იადვილებდა.

აფხაზეთშიც (ამის შემსწრე
მოდი ნუ გადირევი),
ქართველები ქართველების
ხოცვით გახდნენ გმირები.

ძმათა კვლისთვის ჯილდო მკერდზე
როგორ უნდა გვეკიდოთ?!
მაგათ ნაცვლად გულზე ცოდვის
ცეცხლი უნდა გვეკიდოთ!

აბა, როგორ?! მშობელ დედას
დედა უნდა უტიროთ,
დაამტკიცოთ უნდა, რომ ხართ
უგულო და უტვინო!

საქართველოს ომში მუდამ
საქართველო ამარცხებს...
და არა მტრის
რიცხვმრავლობა,
არც მისი სიმამაცე.

1995.

### უსასოობისას

მარად იყავ, საწუთროო,
უთავბოლო, ჭრელი, ნასი...
მეჩვენება: თითქოს მოველ
არყოფნიდან არყოფნაში.

არ შემარგე ტკბილი ტკბილად,
მაზღვევინე ასწილ მწარედ...
ღვთიურია, რაც ვისწავლე,
სატანური — რაც მასწავლე.

თავდადება ნასწავლი მაქვს,
მითხარ: სისხლი სად დავღვარო
არ ამაოდ, რომ წაადგეს
იავარქმნილ საბაღნაროს.

მრავალ მომმის თავგანწირვა
ვიცი, — ამან გამაცოფა —
აფხაზეთში ჩირის ფასიც
კი არ ედო მამაცობას.

ვითომც არაფერი, მკვლელიც
გარეულა მარაქაში.,
ერთნაირად პატივშია
კაციცა და არაკაციც.

ლაჩარსა და ვაჟკაცს სადაც
ერთნაირი ადევს ფასი,
სადაც ასე მოდაშია
თავის მოტყუება ფარსით,

გავეცალო მინდა, მაგრამ
იმ ცრემლის და სისხლის ტბორებს,
ქვის გული რომ გქონდეს მკერდში
ვერა და ვერ მიატოვებ.

მიცდის ნავი, იალქანი
ზენა ქარით განაბერი
ღირს სიცოცხლე?!
ღირს სიკვდილი?!
ღირს და არც ღირს არაფერი.

1994.

## საკვირველება

# „თამარის გული“

ამ ჩვენს სასწაულ-საკვირველებით მდიდარ საუკუნეში სწორედ რომ არ გვაკლია სენსაცია. ერთი მათგანის შესახებ ამას წინათ მიამბო სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა გიგლა ბარამიძემ.

ალბათ, ბევრმა იცის, რომ წლეულს 14 მაისს, წმინდა კეთილმორწმუნის, ქართველთა დიდი მეფის თამარის ხსენების დღეს, ახალციხეში აღიმართება მეფეთ მეფის ძეგლი.

ამ ზეიმისთვის სამცხე-ჯავახეთი დიდი ხანია ემზადება. ორჯერ გამოცხადდა ძეგლის რესპუბლიკური კონკურსი. საბოლოოდ შეირჩა მოქანდაკეების მალხაზ ცისკაძისა და გიორგი ავალიშვილის და არქიტექტორ დავით ცუცქირიძის პროექტი. თამარი წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი, ხელთ უპყრია სფერო და ჯვარი. ძეგლის სიმაღლე 4,5 მეტრია. იგი გამოკვეთილია ეკლარის ქვის მთლიანი, 75-ტონიანი მონოლითისგან.

ძეგლის ღირებულება, საბაზრო ეკონომიკის ენით რომ ვთქვათ, 1,5 მილიონი დოლარია, ხოლო თუ ბიუჯეტის თვალთახედვით ვიტყვით, იგი სახელმწიფოს არაფერი დასჯდომია, ხალხის შემოწირულებით აიგო (ისე რომ, ზოგიერთთა წუწუნი, რა დროს ძეგლია, ხალხი შიმშილით იხოცებაო, უმართებულოა). ამას წინათ ახალციხეში ყოფნისას, მაგალითად, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება „გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის“ გამგეობამ, მისი წევრების ახალციხეში სტუმრობისას, თამარის ძეგლის ფონდს 5000 ლარი შესწირა. გამგეობის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა კარგად თქვა: ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი დეპრესიის წლებში პრეზიდენტმა ჰოლივუდს სთხოვა, ნუ გადაიღებთ მავნებელ ფილმებს, მკვლელობებსა და ძალადობებს, ხალხს კიდევ უფრო ნუ შეაჭირვებთო. და სწორედ მაშინ შეიქმნა „მზიური ველის სერენადა“ და სხვა მშვენიერი სახალისო ფილმები. ჩვენც გვჭირდება დადებითი ემოციები, რათა თავი დავაღწიოთ სულიერ დეპრესიას. ეს ძეგლიც ამ დადებითი ემოციების აღმძვრელი და თვით უკიდურესი შეჭირვების ჟამს დიდი პატრიოტული სულისკვეთების გამონაშუქიაო.

ძეგლი თბილისში, კონიაკის დასახლებაში მდებარე არქიტექტურულ სახელოსნოში გამოქანდაკდა. და აქ მოხდა საკვირველება: როდესაც მკერდის ადგილს თლიდნენ, მონოლითი ამოტყდა და წარმოჩნდა მუჭისოდენა ღრმული, რომელიც სავსე იყო... რბილი, სველი და სურნელოვანი ნივთიერებით.

იმ შიგთავსის შემადგენლობა ასე განსაზღვრეს – თიხა, ცვილისებური და სტალაგმატური ნაერთი...

ამოღების შემდეგ ეს უცნაური მასა თანდათან გამკვრივდა და ქვად იქცა.

საკვირველება!

ის ეკლარის ქვის მონოლითი, მთელს საბადოსთან ერთად, ალბათ, ათეული (იქნებ ასეული) მილიონი წლის წინათ შეიქმნა რთული გეოლოგიური პროცესების შედეგად. როგორ მოხვდა და შემოინახა მის წიაღში ის უცნაური, გულისოდენა მასა, თანაც სწორედ იმ ადგილას, სადაც წმიდანი მეფეთ მეფის ქანდაკების გული მოიაზრება?

ამაზე ჯერ პასუხი არ არის.

ყოველ შემთხვევაში, სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ამ მოვლენას საკვირველება უწოდა.

არა სასწაული, არამედ – საკვირველება.

ჭეშმარიტად საკვირველია.

გამორიცხული არ არის, რომ ის უცნაური და საკვირველი, უკვე ქვადქცეული მასა სიონში დაასვენონ.

თბილისის კონიაკის დასახლების უბნის მოსახლეობამ კი, რომელმაც „თამარის გულის“ საკვირველება იხილა, ამ ადგილას მცირე ზომის ეკლესიის აგება გადაწყვიტა.

**ალეკო ასლანიშვილი.**

## ვერსია

# მართლა ქართველი იყო პოლკოვნიკი აბელი?

(პირველი გვერდიდან)

***— ბატონო ანზორ, რა ამოცანებს ისახავს დაზვერვის დეპარტამენტი?***

— დეპარტამენტმა უნდა მოიპოვოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სხვა ინფორმაცია, რომელიც დროულად უნდა მიეწოდოს უმაღლეს ხელისუფლებას, რათა განხორციელდეს სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ეს გახლავთ ჩვენი მიზანი.

***— მერე, აღწევს დეპარტამენტი ამ მიზანს?***

— შეძლებისდაგვარად. სულ ახლახან ჩამოყალიბდა, ახლადა დგება ფეხზე. ეს სრულიად ახალი რამ არის ჩვენი ქვეყნისთვის, დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს ასეთი სამსახური არ ჰქონია.

***— ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები არ გეხებათ?***

— დებულებით, ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებთან ჩვენ არაფერი გვესაქმება. ისე, თუ დაგვავალებენ რამეს, სხვა საქმეა. ვემორჩილებით უშუალოდ პრეზიდენტს.

***— დღეს ყველა იმას ჩივის, თანხები არ გვაქვსო. თქვენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე?***

— როგორც სხვაგან, ისეა ჩვენთანაც. როცა ქვეყანას უჭირს, მაშინ ყველას უჭირს. არ ვწუწუნებთ, მაგრამ ისე, სპეცსამსახურებს უფრო მეტი ყურადღება, მეტი მიხედვა უნდა. იქნებ კიდევ უფრო შემოვიჭიროთ ქამრები და ამ სამსახურებს მივხედოთ! აქ დახარჯული ფული ათჯერად ამონაგებს იძლევა. ჩვენმა სამსახურმა შეიძლება ისეთი ინფორმაცია მოიპოვოს, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს. როგორც გითხარით, დეპარტამენტი თანდათან ფეხზე დგება და მას მომავალი აქვს. ამაში მეგობრებიც გვეხმარებიან სხვადასხვა ქვეყნიდან.

***— რატომ აძლევთ მათ ხელს საქართველოს დაზვერვის სამსახურის მომძლავრება?***

— ჩვენი გეოსტრატეგიული მდებარეობა, აბრეშუმის გზის, ტრასეკას ამოქმედება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს ქვეყანას. ის სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებული არიან კავკასიით, მისი სტაბილურობით, დაინტერესებული არიან ჩვენი სამსახურითაც, როგორც ამ სტაბილურობის ერთ-ერთი წყაროთი.

***— რამდენად სწორად მიგაჩნიათ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან დაზვერვის სამსახურის გამოყოფა?***

— ამასთან დაკავშირებით მე ასეთი აზრი მქონდა: დაზვერვის სამსახური მაშინ უნდა გამოეყოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, თუ ქვეყანას ამ სამსახურის შენახვის საშუალება აქვს. ისე კი, რა თქმა უნდა, გამოყოფა სჯობს. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

***— თქვენ ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში უშიშროების მინისტრის მოადგილე იყავით. როგორი ურთიერთობა გქონდათ?***

— თავიდან ნორმალური. ბოლოს — ცუდი. ერთხელ დამიბარა და სია მაჩვენა, ეს ადამიანები კრემლის აგენტები არიანო.

***— ვინ და რამდენი იყვნენ იმ სიაში?***

— თუ არ ვცდები, 38 კაცი იყო. მათ მთელი საქართველო იცნობს.

***— მაინც ვინ იყვნენ?***

— არ მინდა დასახელება.

***—მერე, თქვენ რატომ გაწყენათ?***

— რატომ და ტელევიზიით უნდა გამოვიდე, ვთქვა, რომ აგენტები არიან და შენ უნდა დამემოწმოო. არასწორი ინფორმაცია გაქვთ და ვერ დაგემოწმებით-მეთქი. წადი და მოიფიქრეო, მითხრა. ერთი კვირის შემდეგ დამირეკა: შენი სამსახურის საქმე, შენი მომავალი ამაზეა დამოკიდებულიო. არასწორ ინფორმაციას ვერ დაგიმოწმებთ-მეთქი, ავდექი და შვებულება გავაფორმე, რომლის დამთავრების შემდეგ საერთოდ წასვლა გადავწყვიტე სამინისტროდან. შვებულებაში 1991 წლის 2 დეკემბერს გავედი, სამი კვირის შემდეგ კი გახსოვთ, რაც მოხდა...

***— დიახ, თქვენ, მოხსნის ნაცვლად, კიდევ ერთი კვირის შემდეგ, 1992 წლის დამდეგს, უკვე მინისტრი იყავით. სამხედრო საბჭომ დაგნიშნათ ამ პოსტზე.***

— სამხედრო საბჭომ მე კი არა, სხვა დანიშნა. 7 იანვარი იყო. მაგრამ რამდენიმე საათში შეცვალეს ბრძანება, რადგან სამინისტროს კოლეგიამ სამხედრო საბჭოს ოფიციალურად მისწერა: ან ანზორ მაისურაძე დანიშნეთ მინისტრად, ან ჩვენ წავალთ, დავიშლებითო. ჰოდა, სამხედრო საბჭო იძულებული გახდა შეეცვალა თავდაპირველი გადაწყვეტილება. 1992 წლის 2 მაისამდე ვიმუშავე მინისტრად, მერე უშიშროების სამინისტრო დაშალეს — საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურად გადააკეთეს და ხელმძღვანელად ირაკლი ბათიაშვილი დანიშნეს. ერთხანს სახლში ვიჯექი. მერე თენგიზ სიგუასთან დამიბარეს, თავდაცვის სამინისტროში დაზვერვის სამსახურის ჩამოყალიბება დამავალეს. მართლაც შევქმენი ეს სამსახური 5-6 თვეში. სხვას შეიძლება 5-6 წელი დასჭირვებოდა ამისთვის. ერთ წელიწადში იქიდანაც წავედი.

***— რატომ?***

